

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი

19.09.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ნანა ჭილაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
სალომე ფრუიძე - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;
ფიქრია თათარაშვილი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;
თეიმურაზ ჩიხრაძე - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოადგილე, საბჭოს წევრი, სხდომის მდივანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის კოორდინატორი;
ანა ჯავახიშვილი - პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი:

ხათუნა კასრაძე - დაწესებულების ხელმძღვანელი;
მაია ხოსიტაშვილი - სოციალური ტრენინგების სამსახურის უფროსი;
თინათინ ცინარიძე - მთავარი იურისტი.

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია:

ტარიელ ჭულუხაძე - აკადემიის დირექტორი;
გიორგი რაზმაძე - დირექტორის მოადგილე.

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა:

ქეთევან ჯაყელი - სკოლის დირექტორი;
ნინო ნანიკაშვილი - პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის პროგრამის ხელმძღვანელი;

გიორგი ემინაშვილი - მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ხელმძღვანელი;
პანტელეიმონ კლდიაშვილი - დირექტორის მოადგილე;
კონსტანტინე სირბილაძე - დირექტორის მოადგილე;
ნინო თაყნაშვილი - პროექტების მართვის კონსულტანტი.

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის
ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნინო დოლიძე;
თეა რუსიტაშვილი;
ლიკა გიორგაძე;
გულიკო კაჭაშვილი;
მიხეილ ტეფნაძე;
თინათინ კუპრაშვილი.

მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მოწვეული
პირები:

ეკატერინე ქარდავა - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი;
მარიამ კობახიძე - საქართველოში მოქმედი გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:15 საათზე.

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსმა, ეკატერინე ქარდავამ სხდომაზე დამსწრე საზოგადოების
წინაშე წარადგინა საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის 14 ივნისის №479/სა
ბრძანებით დამტკიცებული მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს შემადგენლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განაცხადა, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს
უფროსის 2019 წლის 02 აპრილის №281/სა ბრძანებით დამტკიცებული „მოხელის პროფესიული
განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის წესის“ მე-4
მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევდა
საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, რომელიც აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის
არყოფნის შემთხვევაში ასრულებდა მის მოვალეობას.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ წამოაყენა პროფესორ ნანა ჭილაძის კანდიდატურა საბჭოს
თავმჯდომარედ და განმარტა, რომ ქალბატონ ნანას დიდი გამოცდილება ჰქონდა ამ
მიმართულებით. საბჭოს ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი ნანა ჭილაძის აკრედიტაციის
საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ჭილაძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს ნდობისთვის და ამ
მიმართულებით მისი წარსული გამოცდილების გახსენებისთვის. მან იმედი გამოთქვა
კოლეგიალურად და ეფექტურად თანამშრომლობის, საბჭოს თავმჯდომარემ მისი მოადგილის
პოზიციაზე დაასახელა საბჭოს წევრი, თამარ ზარანდიას კანდიდატურა. საბჭოს ყველა წევრმა

ერთხმად დაუჭირა მხარი თამარ ზარანდიას საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის საკითხს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ჭილაძემ. საბჭოს წევრებმა ერთობლივი გადაწყვეტილებით სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრეს საბჭოს წევრს, თეიმურაზ ჩიხრაძეს. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ იყო უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „მოხელის მენეჯერული უნარები“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „მოხელის მენეჯერული უნარები“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „მოხელის მენეჯერული უნარები“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ან ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განაცხადა, რომ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ფიქსირდებოდა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სახით დღის წესრიგი.

6-ქ

აქვე, თამარ შენგელიამ წარმოადგინა წერილობითი შუამდგომლობები ექსპერტების მხრიდან, რომელშიც იუსტიციის სასწავლო ცენტრის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო დოლიძე და ასევე, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ექსპერტთა ჯგუფის წევრი, გულიკო კაჭაშვილი ნებართვას ითხოვდნენ მონაწილეობა მიეღოთ საკითხების განხილვაში ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით, რადგან ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ვერ ესწრებოდნენ საბჭოს სხდომას. შესაბამისად, წარმოდგენილი ჰქონდათ წერილობითი შუამდგომლობები ამ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის წარმომადგენელთან დააზუსტა ინფორმაცია ესწრებოდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის მეორე წევრები საბჭოს სხდომას, რაზეც თამარ შენგელიამ განმარტა, რომ ექსპერტები ესწრებოდნენ საბჭოს სხდომას. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობები.

ასევე, თამარ შენგელიამ საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა სხდომის ზეპირი განხილვის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა სხდომის ამსახველი ოქმის მომზადების ხელშეწყობა. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურდებოდა ოქმის ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ წარმოთქვა თავისი პოზიცია საკითხების განხილვასთან მიმართებით. მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა განხილვა დაეწყოთ პაექრობის ფორმით იმ ნაწილში სადაც სადაო გარემოებები იყო სახეზე. ნანა ჭილაძემ განმარტა, რომ ამ ფორმით საკითხის განხილვა, კერძოდ, მხარეების არგუმენტები და კონტრარგუმენტები უფრო აღქმადი იქნებოდა. თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ მხარეებს ამომწურავად მიეცემოდათ საშუალება სრულყოფილად გამოეხატათ თავიანთი პოზიციები. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ წარმოადგინა შუამდგომლობა თანმიმდევრობით და გაერთიანებულ ფორმატში მომხდარიყო ერთი და იმავე დაწესებულების პროგრამების აკრედიტაციის საკითხების განხილვა, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები ამ პროგრამებთან მიმართებით მეტწილად იდენტური შინაარსის იყო.

საბჭოს წევრებმა, დაწესებულებების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული მოსაზრებები.

ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, სალომე ფრუიძემ მსჯელობის საკითხად წარადგინა საბჭოს სხდომაზე სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან მიმართებით მისი აცხადების საკითხი. მან განმარტა, რომ ის წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს. ამასთან, სასწავლო ცენტრთან მას არც წარსულში და არც ამ ეტაპზე არ აკავშირებდა შრომითი ურთიერთობა. აღნიშნულ შემთხვევაში ერთადერთი სამსჯელო საკითხი იყო ის გარემოება, რომ სასწავლო ცენტრი ისევე როგორც სხვა 13 საჯარო სამართლის იურიდიული პირი შედიოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია მიჩნეულიყო, რომ სახეზე იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული გარემოება და საბჭოს წევრი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩათვლილიყო დაინტერესებულ მხარედ. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო საბჭოს წევრს

განცხადებინა თვითაცილების შესახებ, რათა ობიექტური დამკვირვებლისთვის სასწავლო ცენტრის საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები მიჩნეულიყო სამართლიანად. მსჯელობის შედეგად, საბჭოს წევრმა, სალომე ფრუიძემ განაცხადა თვითაცილება საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ წარმოდგენილი პროგრამების აკრედიტაციის საკითხების განხილვასთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ფიქრია თათარაშვილმა საბჭოს წინაშე განაცხადა თვითაცილების შესახებ სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ წარმოდგენილი პროგრამების აკრედიტაციის საკითხების განხილვასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, ის წარმოადგენდა ფინანსთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს. ამასთან, მისი განცხადებით ის ჩართული იყო უშუალოდ დაწესებულების პროგრამების აკრედიტაციის პროცესში და იყო მოქმედი ტრენერი.



1. სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის "მოხელის მენეჯერული უნარები" აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებსა და ექსპერტთა დასკვნების პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უკუკავშირს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

საკითხის განხილვაში ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების (skype) გამოყენებით ჩაერთო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო დოლიძე. ექსპერტი მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ნინო დოლიძეს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროგრამებთან მიმართებით მისი შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით. ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ პროგრამებთან მიმართებით შემუშავებული რჩევები, რომლებიც საერთო იყო ორივე პროგრამისთვის:

- დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარული შეხვედრების ორგანიზება ან მრჩეველთა საბჭოს ტიპის ორგანოს შექმნა, რომელიც გარე ექსპერტების პროგრამის შემუშავებაში სისტემატურ ჩართულობას შეუწყობს ხელს;
- მოდულების დასახელების შესაბამისობა N242 დადგენილებასთან;
- საჭიროების შემთხვევაში პროგრამის საათობრივი დატვირთვის გაზრდის შესაძლებლობა 40 საათამდე;
- სასწავლო მასალის ჩამონათვალის დაჯგუფება მოდულების მიხედვით;
- მოდულების ხანგრძლივობის შესაბამისი მოცულობის სასწავლო მასალის განსაზღვრა;
- ჰენდაუტების საბოლოო სახით მომზადება პროგრამის განხორციელების დაწყებამდე;
- კონკრეტული მოდულებისათვის ტესტების წინასწარ მომზადება.

მან აქვე დასძინა, რომ რეკომენდაციები არ ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 12 აგვისტოს. რამდენადაც, ეს იყო პირველი ვიზიტი საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სფეროში, გარკვეულწილად ექსპერტებს მოლოდინი ჰქონდათ, რომ რაღაც სირთულეები იქნებოდა, თუმცა მთლიანად შეფასება წარიმართა თანამშრომლობით გარემოში. ვიზუალური დათვალიერებით და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებიდან გამომდინარე სრულყოფილი

6 ქა

ინფორმაციის მოპოვება შეძლეს ექსპერტებმა. ამასთან, სასწავლო ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო საკმაოდ ამომწურავი და ინფორმატიული. ექსპერტებმა პოზიციების შეჯერებით ერთხმად გადაწყვიტეს, რომ რეკომენდაციები არ ჰქონდათ არცერთ პროგრამასთან მიმართებით. შემუშავებულ რჩევებთან მიმართებით მან დამატებითი განმარტებები გააკეთა. დაინტერესებული მხარის ჩართულობასთან დაკავშირებით, ნინო დოლიძემ განმარტა, რომ ჩართულობა საკმაოდ მაღალი იყო ორივე პროგრამის შემუშავებაში, უბრალოდ არასისტემატიზირებულ ხასიათს ატარებდა. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს მისცეს რჩევა, რომ შეექმნათ საბჭოს ტიპის ორგანო, რომელშიც მუდმივად იქნებოდნენ ჩართულები პოტენციური დამკვეთები და ექსპერტები, რომლებიც ჩართულნი არიან საჯარო სამსახურის რეფორმაში და იქნებოდა უფრო სისტემატიზირებული. კითხვები გამოიწვია ასევე იმ გარემოებამ, რომ მოდულების დასახელება მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამაში არ შეესაბამებოდა N242-ე დადგენილებით გათვალისწინებულ დანართს. თუმცა, როგორც ნინო დოლიძემ განაცხადა დაწესებულების წარმომადგენლებმა აუხსნეს, რომ დაწესებულება ხელმძღვანელობდა ბიუროს რეკომენდაციებით, სწორედ ამ მიზეზით მოდულების დასახელების შესაბამისობა არ ჩაწერეს რეკომენდაციაში, არამედ ჩაწერეს რჩევაში. ასევე, ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ ეს საკითხი რჩევაში მხოლოდ იმ მიზეზით ჩაიწერა, რომ უფრო ნათელი იყოს ტენდერის გამოცხადების დროს ან მოხელისთვის გასაგები იყოს რომელ მოდულს ირჩევს და რა ტიპის სერთიფიკატს აიღებს. ნინო დოლიძემ გაუხიარა საბჭოს წევრებს მესამე რჩევა მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის კურსის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომელიც განსაზღვრული იყო 32 საათით. ექსპერტის განმარტებით რადგანაც დადგენილება იძლეოდა საშუალებას საათების გაზრდის, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ შემცირებული საათების პირობებში რვა საათის დამატება უფრო გაზრდიდა კურსის ეფექტურობას. ექსპერტებს რჩევები ჰქონდა სასწავლო მასალის მომზადებასთან დაკავშირებით. სასწავლო მასალა პრაქტიკულად მზად იყო, ჰენდაუთების სახით, რომელიც ატვირთული იყო ელექტრონულ პორტალზე და რომლის ნახვის საშუალებაც ჰქონდათ ექსპერტებს ვიზიტის ფარგლებში. იგივე შეეხებოდა კონკრეტულები მოდულებისათვის პრეტესტების წინასწარ მომზადებას. ექსპერტის თქმით ტესტების მომზადება იყო ერთ-ერთი ძლიერი მხარე სასწავლო ცენტრის. იმის გათვალისწინებით, რომ პირველივე ეტაპზე ძალიან დიდი ნაკადი შეიძლება იყოს მსმენელების, ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ კარგი იქნებოდა თუ კონკრეტული მოდულებისთვის ტესტები უკვე მზად იქნებოდა სასწავლო პროცესის დაწყებამდე. ეს იყო ექსპერტთა ჯგუფის რჩევები, სხვა რჩევა და რეკომენდაცია სასწავლო ცენტრის მიმართ არ გააჩნდათ. დამატებით ნინო დოლიძემ განაცხადა, რომ ძალიან კარგად წარმოაჩინა თავი სასწავლო ცენტრმა ვიზიტის დროს.

ექსპერტმა, თეა რუსიტაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტის რანგში მისი საქმიანობა პირველი იყო, მან ეს საქმიანობა ძალიან საინტერესოდ მიიჩნია. მისი შეფასებით, ძალიან მოწესრიგებული, ორგანიზებული და თანამშრომლობითი გარემო დახვდათ ექსპერტებს დაწესებულებაში. მისი შეფასებით, პროფესიული საჯარო მოხელეები მიიღებდნენ იმ გადამზადებას, რაც დაგეგმილი იყო. თეა რუსიტაშვილმა ერთ დეტალზე გაამახვილა ყურადღება, როდესაც ექსპერტებმა შეადგინეს დასკვნის პროექტი მათ ჰქონდათ კიდევ ერთი რჩევა შემუშავებული, რომელიც დაწესებულების უკუკავშირის გაცნობის შემდეგ ამოიღეს დასკვნიდან. რჩევა შეეხებოდა ბიუჯეტის გრძელვადიანად დაგეგმარებას. ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ იყო საჯარო დაწესებულებები სადაც ძალიან მცირე რაოდენობით თანამშრომელი იყო ან მცირე რაოდენობით თანამშრომელი ეყოლებოდა გადასამზადებელი. მხოლოდ კომერციულ ინტერესზე ბიუჯეტის

მორგება, იმ საჯარო ინტერესს, რასაც რეფორმა ითვალისწინებდა, არ შეესაბამებოდა. სასწავლო ცენტრი საჯარო სამართლის იურიდიული პირი იყო, რომლის მიზნები საჯარო ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ექსპერტებმა დაწერეს რჩევა, რომ იქნებ ბიუჯეტში გაეთვალისწინებინათ, თუმცა შემდგომ სასწავლო ცენტრმა ძალიან ღიად გამოთქვა მზაობა იმის თაობაზე, რომ მცირერიცხოვან ტენდერებშიც მიიღებდნენ მონაწილეობას. ექსპერტმა განაცხადა, რაკი შემხვედრი ნაბიჯი იყო წამოსული იუსტიციის სასწავლო ცენტრისგან, პრობლემაც ამ ეტაპზე მოხსნილი იყო და ეს რჩევა აღარ გადმოიტანეს საბოლოო დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, თუ რას გულისხმობდნენ მრჩეველთა საბჭოში. თავმჯდომარემ განმარტა, რომ პირველი საბჭოს სხდომა პრეცედენტული იქნებოდა, ამ მიზნით ითხოვდა საკითხის ნათლად წარმოდგენას ექსპერტების მხრიდან. რაზეც ნინო დოლიძემ განმარტა, რომ ეს არ იყო არავითარ შემთხვევაში რეკომენდაცია, ეს იყო რჩევა. თუ იქნებოდა შესაძლებელი შეხვედრების ნებისმიერი სახით სისტემატიზირება. წარმოდგენილი იყო დაინტერესებული მხარის ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის ელექტრონული მიმოწერები. ასევე, ექსპერტებთან კონსულტაციები, რაც სავსებით მისაღები იყო. თუმცა, პროგრამის ეფექტურობისთვის სასარგებლო იქნებოდა დაინტერესებულ მხარეებთან სისტემური შეხვედრების ორგანიზება. ნინო დოლიძემ დაწესებულებას თავისი მოსაზრება გაუზიარა, რომ მათ შეუძლიათ ექვს თვეში ერთხელ ჩაატარებინათ ეს შეხვედრები, სადაც ინფორმაციას მიაწოდებდნენ და ამ შეხვედრებს ექსპერტის აზრით უნდა ჰქონოდა რეგულარული სახე და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმე ცვლილება განხორციელდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მრჩეველთა საბჭო უფრო შეზღუდული რაოდენობაა ადამიანების და პროგრამის შედგენაში თანამონაწილეების წრე შეიძლება უფრო ფართო ყოფილიყო.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ ზარანდიამ ითხოვა დაეზუსტებინათ ექსპერტებს, თუ რას გულისხმობდნენ სასწავლო მასალის ჩამონათვალის დაჯგუფებაში მოდულების მიხედვით და მოდულების ხანგრძლივობის შესაბამისი მოცულობის სასწავლო მასალის განსაზღვრაში. რაზეც ნინო დოლიძემ განმარტა, რომ როგორც იყო პროგრამის აღწერილობაში მოცემული, სასწავლო მასალა თითოეული მოდულის მიხედვით ჩამოწერილი იყო, წყაროს რამდენჯერმე განმეორება ტექნიკური გაუმართაობა იყო. გარდა ამისა, მითითებული იყო სახელმძღვანელოები, რომლებიც გაცილებით აღემატებოდა იმ შესაძლებლობას, რასაც იძლეოდა მოდულების ხანგრძლივობა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ბუნებრივი იყო 4 საათში და 6 საათში მენეჯერული კომპეტენციების სახელმძღვანელოს ვერ შეასწავლიდა ტრენერი. შესაბამისად, ექსპერტთა რჩევა იყო, რომ მოწესრიგებულიყო ეს საკითხი, მითითებულიყო კონკრეტული მოდულის ჰენდაუთებისთვის რა ლიტერატურა იქნა გამოყენებული და არა უბრალოდ ლიტერატურის ჩამონათვალი 20 - 25 წყარო.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ ზარანდია დაინტერესდა, იყო თუ არა სახელმძღვანელოების კონკრეტული გვერდები მითითებული. რაზეც ნინო დოლიძემ განაცხადა, რომ მოდულებთან მიმართებით არ იყო იდენტიფიცირებული. ექსპერტმა დამატებით დააზუსტა, რომ პროგრამის აღწერის ბოლოს ჩამონათვალი იყო იმ ლიტერატურის, რომლებსაც ტრენერები იყენებდნენ. ექსპერტის ვარაუდით, ყველა ტრენერმა მიაწოდა ეს ლიტერატურა დაწესებულებას და პროგრამაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მექანიკურად მოხდა ამისი ასახვა პროგრამაში, სწორედ, ამიტომ რამდენიმე წყარო იყო დუბლირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების დირექტორი, ხათუნა კასრაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან საზოგადოებას გააცნო თავისი კოლეგები, რომლებიც პროგრამის აკრედიტაციაზე იყვნენ პასუხისმგებელნი - მაია ხოსიტაშვილი და თინათინ ცინარიძე. სასწავლო ცენტრის დირექტორმა განაცხადა, რომ სწორედ ზემოთ ხსენებული პირების დამსახურება იყო ის გარემოება, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში იყო სტანდარტების მოთხოვნებთან. ხათუნა კასრაძემ განმარტა, რომ მათ ესმოდათ საჯარო მმართველობის რეფორმის მნიშვნელობა, მათ შორის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების მიმართულებით, რომელიც ასევე სასწავლო ცენტრის მისიას წარმოადგენდა. მან განაცხადა, რომ არაერთ ცნობიერების ამაღლების კამპანიაში მიუღიათ მონაწილეობა და ძალიან ბევრი ღონისძიება საკუთარი სახსრებით ჰქონდათ განხორციელებული. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და შემუშავებული რჩევებისთვის. ხათუნა კასრაძემ დამატებით განმარტა, რომ პროგრამების შემუშავებისა და სააკრედიტაციოდ წარმოდგენის პროცესში დაწესებულებამ იმუშავა თავის ექსპერტებთან ერთად, ისინი ხელმძღვანელობდნენ საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციებით. ასევე მისი განცხადებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთანაც ინტენსიურ კომუნიკაციაში იყვნენ დაწესებულების წარმომადგენლები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რჩევები მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან მისი თქმით გარედან პროცესის კრიტიკულად შეფასება, პროგრამების განვითარებას შეუწყობდა ხელს. ფაქტიურად არ არსებობდა რჩევა, რომელიც მათ არ გაითვალისწინეს და ყველაფერზე ჰქონდათ თავიანთი არგუმენტები. ყველა რჩევა გაზიარებული იყო, ერთადერთი ჩანაწერი დაზუსტდა კომერციულ ინტერესთან დაკავშირებით. სასწავლო ცენტრი სწორედ იმიტომ რომ მზად იყო თავიანთი მოხელეების გადამზადებისთვის და რეფორმის არსი ესმოდათ და გააზრებული ჰქონდათ, ამიტომაც გააკეთეს სააკრედიტაციო განცხადი პირველებმა. არავითარ შემთხვევაში მხოლოდ კომერციული ინტერესიდან გამომდინარე არ მოქმედებდნენ და მათ უკვე ჰქონდათ შემუშავებული თავიანთი შიდა სქემა, თუ როგორ დააკომპლექტებენ ჯგუფებს მცირე რაოდენობის შემთხვევაში, ცხადია თუ აკრედიტაციას მოიპოვებდნენ. აქვე ხათუნა კასრაძემ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოს ამ მნიშვნელოვანი მისიის შესრულებისათვის და განაცხადა, რომ თემატურ კითხვებთან დაკავშირებით მისი კოლეგები უპასუხებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხოსიტაშვილმა განაცხადა წყაროების ნაწილთან მიმართებით, რომ დაწესებულებამ ექსპერტებს დაუკვეთა მენეჯმენტის მოდულების შემუშავება. მესამე, მეოთხე რანგის შემთხვევაში „UNDP“-ის დაფინანსებით განხორციელდა მოდულების შემუშავება, სადაც თავისთავად მითითებული იყო წყარო თავისი სტანდარტის დაცვით. მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის შემთხვევაში, როდესაც მოდულები მიიღეს ექსპერტებისგან თითოეულ სილაბუსს ჰქონდა თავისი წყარო, მაგრამ პროგრამაში ერთიანად მოხდა გადაიტანა. ასევე, მაია ხოსიტაშვილმა სასწავლო მასალის მოცულობაზე გააკეთა კომენტარი და განმარტა, რომ იუსტიციის სასწავლო ცენტრს გარდა შიდა მოდულებისა ჰქონდა გამოცემული სახელმძღვანელო ზოგად მენეჯმენტში, რომელიც დაწესებულებამ წარუდგინა ექსპერტებს, ეს სახელმძღვანელო საკმაოდ მოცულობითი იყო. მისი განცხადებით, ამ წყაროს გამოყენებით ტრენერები შექმნიდნენ მოდულის შესაბამის ჰენდაუთებს და განმარტა, რომ სახელმძღვანელოს უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ტრენერს არ მოუწევდა დამატებით შრომის გაწევა თარგმანზე. მისი განმარტებით ნათარგმნი იყო წამყვანი წყაროები და მარტივად

6 ქ

შეძლებდნენ ტრენერები განესაზღვრათ თუ რა იყო საკვანძო საკითხები, რომელიც აუცილებელი იყო გაეთვალისწინებინათ მცირე მოცულობის სასწავლო მასალაში. მაია ხოსიტაშვილმა განაცხადა, რომ სასწავლო მასალას ცენტრში ჰქონდა მეორე კრიტიკული ფუნქცია. ტესტირების სამსახური ეყრდნობოდა ტესტური დავალებების შემუშავების დროს ამ სასწავლო მასალას, ამიტომ კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო თითოეული წინადადება სასწავლო მასალაში ყოფილიყო დატვირთული წყაროთი, რადგან გაპროტესტების ან აპელაციის შემთხვევაში ტესტირების სამსახური ამ სასწავლო მასალით ხელმძღვანელობდა. მაია ხოსიტაშვილმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ეს იყო გეგმა, სახელმძღვანელოს დამატებით წყაროდ ჩადებდნენ, რომელიც იყო ნათარგმნი. თუმცა მოცულობიდან გამომდინარე მან თქვა, რომ ექსპერტები შექმნიდნენ 15-30 გვერდიან სასწავლო მასალებს.

მაია ხოსიტაშვილმა განაგრძო განმარტებები ექსპერტთა რჩევებთან დაკავშირებით. განაცხადა, რომ მესამე თემა ეხებოდა ბიუროს რეკომენდაციების და დადგენილების დასახელებების თანხვედრას. მან განაცხადა, რომ ამასთან დაკავშირებით შეიქმნა ფორმა, რომელსაც ბიუროს რეკომენდაციებისა და დადგენილების შესაბამისობის მოდულის შემუშავების ჩარჩო უწოდეს, ამ მოდულებით იხელმძღვანელებს ტრენერებმა. მაია ხოსიტაშვილმა განმარტა, რომ ბიუროს რეკომენდაციები უფრო ახლოს იყო ცენტრის პრაქტიკასთან და ექსპერტების მოსაზრებასთან, მენეჯმენტის მოდულები სად და როგორ უნდა ყოფილიყო სქემატურად ჩაშლილი. მაია ხოსიტაშვილმა განმარტა, რომ მაგალითად რისკების მართვისა და მომსახურების ხარისხი მათ გადაანაწილეს და მოდულურად ჩასვეს, ცხრილი აჩვენებს თუ რომელი მათი მოდული დადგენილების რომელ თემას უკავშირდებოდა. მან განაცხადა რომ ამას საჯაროდაც ატვირთავდნენ, რადგან დაინტერესებულ მხარეებსაც შეეძლოთ კავშირის ნახვა მოდულებსა და ბიუროს დადგენილებას შორის.

საბჭოს თავმჯდომარეს უნდოდა დაზუსტება ცენტრის ან ბიუროს წარმომადგენლებთან, იმასთან დაკავშირებით, პროგრამა უნდა იმეორებდეს თუ არა N242-ე დადგენილების დანართით განსაზღვრულ ჩამონათვალს ზედმიწევნით. მისი აზრით ამის აუცილებლობა არ იკვეთებოდა, პირიქით ფიქრობდა, რომ ინდივიდუალიზმს უკარგავდა პროგრამას.

ექსპერტმა, თეა რუსიტაშვილმა განმარტება გააკეთა, თუ რატომ ჩათვალეს, რომ რჩევა მიეცათ მოდულების დასახელებასთან მიმართებით. იქედან გამომდინარე, რომ ტენდერების გამოცხადების დროს ბევრ ფორმალურ საკითხებს ექცევა ყურადღება, ექსპერტებს არ უნდოდათ დაწესებულებას პრობლემა შექმნოდა ადმინისტრირების პროცესში.

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსმა, ეკატერინე ქარდავამ განაცხადა, რომ მას ესმოდა, რომ საბჭო პრეცედენტულ საკითხზე უნდა შეთანხმებულიყო, რის საფუძველზეც სხვა აკრედიტაციის პროცესები განხორციელდებოდა. მისი განმარტებით მთავარი იყო, რომ არ დაკარგულიყო საგნების სათაურები, რაც დადგენილების დანართით იყო გათვალისწინებული. საგნების შიგნით ჩაშლა შეიძლება ყოფილიყო უკვე თავად სასწავლო ცენტრის გამოცდილებაზე და შეხედულებაზე დამოკიდებული. ასევე განაცხადა, რომ სარეკომენდაციო ფორმაში ისეთი საკითხები იყო რომ თუ კარგად შინაარსში ჩაიხედავდნენ დიდი აცდენა მაინც არ ექნებოდათ. ეკატერინე ქარდავამ განაცხადა, რომ ამ რჩევასთან მიმართებით მკაცრი არ იქნებოდა და განმარტა, რომ მთავარი იყო დადგენილებით განსაზღვრული დასათაურება არ შეცვლილიყო და საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციების გადასხვაფერება შესაძლებელი იყო.

6 - გ

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხოსიტაშვილმა განაცხადა, რომ ბიუროს რეკომენდაციები აბსოლუტურად ემთხვეოდა ექსპერტთა მოსაზრებებს, რომლებიც წლების განმავლობაში მენეჯმენტის თემაზე ლექციებს კითხულობდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ფიქრია თათარაშვილმა განაცხადა, რომ ჰქონდა ორი კითხვა. ერთი შეეხებოდა რჩევას, რომელიც ჰქონდათ ექსპერტებს 32 საათის გაზრდასთან დაკავშირებით 40 საათამდე. მან დამატებით განაცხადა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ დაწესებულებას თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ის თავად იყო ჩართული პროგრამის შექმნის პროცესში ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში და თვლიდა, რომ რეალურად ძალიან ცოტა იყო 32 საათი იმ მიზნების მისაღწევად, რა მიზანსაც რეალურად ისახავდა ეს სასწავლო პროგრამები. საბჭოს წევრი დაინტერესდა, გაიზარებდა თუ არა დაწესებულება რჩევას და გაზიარების შემთხვევაში, როდიდან აპირებდნენ გათვალისწინებას პირველივე ტრენინგის პერიოდიდან თუ შემდგომი განხილვის საკითხი იყო. რაზეც მაია ხოსიტაშვილმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე საათობრივი დატვირთვა უცვლელად დარჩებოდა. რაც გაიარეს მოდულებზე მუშაობის დროს ექსპერტებთანაც. რადგან მოცემულობა იყო შეზღუდული დრო, ყველა მოდული სპეციფიკაციის ერთ დონეზე გაწერეს. მაია ხოსიტაშვილმა განმარტა, რომ მოდულებში ძალიან სიღრმეში ჩასვლის ნაცვლად საკვანძო პრიორიტეტული საკითხები გამოყვეს. მისი განცხადებით, მოდულებში გადანაწილებული დრო, როგორც მათ ჰქონდათ გაწერილი, ექსპერტების შეფასებით და მათი პრაქტიკის გათვალისწინებით საკმარისი იყო შედეგზე გასასვლელად.

საბჭოს წევრმა, ფიქრია თათარაშვილმა განაცხადა, რომ გასაგები იყო ის გარემოება, რომ დაწესებულებამ იხელმძღვანელა ბიუროს რეკომენდაციების შესაბამისად, სადაც მითითებული იყო, რომ ახლად დანიშნულმა მოხელემ კონკრეტული საკვანძო საკითხები უნდა გაიზაროს და არა სიღრმისეულად შეისწავლოს. თუმცა დადგენილების დანართი ითვალისწინებდა პროგრამების კონკრეტულ კომპეტენციებზე გასვლას და მხოლოდ კონცეფციის დონეზე ამ საკითხების გაცნობა ახალი მოხელისათვის აბსოლუტურად ვერ უზრუნველყოფდა იმ კომპეტენციების განვითარებას. ფიქრია თათარაშვილმა იკითხა ამ მიმართულებით ხომ არ უფიქრია დაწესებულებას, რომ შეიძლება საკვანძო საკითხებისათვის საკმარისი იყო 32 საათი, მაგრამ ამას ემატებოდა კომპეტენციების განვითარების საჭიროება, რომელსაც ასევე დადგენილება ითვალისწინებდა.

მაია ხოსიტაშვილმა განაცხადა, რომ სტანდარტული ტრენინგისგან განსხვავებით ამ მოდულში ცენტრი აცნობდა მენეჯერებს სტრატეგიული დოკუმენტების ძირითად მოთხოვნებს და ინდიკატორებს. მისი განმარტებით პრაქტიკაში გამოჩნდებოდა, იყო თუ არა საკმარისი დაწესებულების მიერ გადანაწილებული საათები. მისი განმარტებით საჭიროებიდან გამომდინარე მოხდება გადახედვა, რადგან მათ ინტერესს წარმოადგენდა შესაბამის შედეგებზე გასვლა.

ფიქრია თათარაშვილიმ განაცხადა, რომ ესმოდა მას დაწესებულების პოზიცია და ის გარემოება, რომ დაწესებულება არ აპირებდა პირველ ეტაპზე საკონტაქტო საათების გაზრდას. თუმცა მან აქვე დასძინა, რომ საათების გაზრდის შემთხვევაში, კიდევ უფრო მიახლოებული იქნებოდა პროგრამა

6. კვ

იმ კომპეტენციების განვითარებასთან, რაც დადგენილებით იყო გათვალისწინებული. საბჭოს წევრმა დაწესებულებასთან დააზუსტა რჩევაში მითითებული საკითხი, მოდულების მიხედვით წყაროების მითითებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მისი ინტერესის საგანს წარმოადგენდა, თუ კონკრეტულად როდის აპირებდნენ აღნიშნულის გათვალისწინებას, ტრენინგების განხორციელებამდე თუ უკვე გაკეთებული ჰქონდათ. რაზეც მაია ხოსიტაშვილმა უპასუხა, რომ ეს რჩევა უკვე გაითვალისწინეს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს საკითხი სწორედ იმიტომ იყო რჩევის ნაწილში, რომ რეგულაცია ამის საშუალებას აძლევდა და აღნიშნა, რომ ამ საკითხს ნეგატიურ კონტექსტში ვერ განიხილავდნენ გადაწყვეტილების მიღების დროს, რაზეც ფიქრია თათარაშვილი დაეთანხმა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები მხარეებთან. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ორივე პროგრამა პარალელურად განიხილეს საბჭოს წევრებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის „პროფესიული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

6 ქუ

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.



3. სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „მოხელის მენეჯერული უნარები“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებსა და ექსპერტთა დასკვნების პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უკუკავშირს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

საკითხის განხილვაში ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების (skype) გამოყენებით ჩაერთო ექსპერტთა ჯგუფის წევრი, გულიკო კაჟაშვილი. ექსპერტი მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლიკა გიორგაძემ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამებთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც საერთო იყო ორივე პროგრამისთვის:

- მიზანშეწონილია, თითოეული საკითხის ასათვისებლად გამოსაყენებელი სწავლების და შეფასების მეთოდების, ასევე, აუცილებელი რესურსების შესახებ ინფორმაცია აისახოს პროგრამის ოფიციალურ ვერსიაში და დამტკიცდეს განახლებული სახით;
- მიზანშეწონილია, შეიქმნას პროგრამის შინაარსზე ორიენტირებული სპეციალური სასწავლო რესურსი პროგრამის მსმენელებისათვის, რომელიც კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაზე იქნება ორიენტირებული;
- მიზანშეწონილია, ტრენერებთან გაფორმებულ შეთანხმებებში ასახული იყოს ტრენინგის განხორციელების კონკრეტული მისამართები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 13 აგვისტოს ქალაქ თბილისში და 15 აგვისტოს ქალაქ ბათუმში. თბილისში სრულფასოვნად შეისწავლეს დაწესებულების რესურსები, დამატებით ბათუმში მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეაფასეს, რადგანაც ორ მისამართზე იგეგმებოდა პროგრამების განხორციელება. ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ ექსპერტების ადასტურებდნენ დაწესებულების მზაობას პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საჭიროებდა მეტ სიზუსტეს, თუმცა ექსპერტებმა ინფორმაცია შეავსეს უშუალოდ ვიზიტის პერიოდშიც. ექსპერტის განმარტებით ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების, ექსპერტებმა ნახეს ადგილზეც დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის წარსულში განხორციელებული აქტივობები. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფისთვის ზოგიერთი დოკუმენტაცია არ იყო თვალსაჩინო და შესაბამისად

6 ქ

გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები შეიმუშავეს. ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ თვითშეფასებაში მოცემული ინფორმაცია იყო ძალიან მწირი, მეტწილად ფორმალურიც. ექსპერტთა შეხედულებით აკრედიტაციის სტანდარტის ყველა კრიტერიუმს არ პასუხობდა თვითშეფასებაში მოცემული ინფორმაცია. ამ საკითხის შესახებ ექსპერტებმა ზოგადი ხასიათის რჩევა დააფიქსირეს და ასახეს ყველაფერი დასკვნაში, თუმცა კონკრეტული სტანდარტის კონკრეტულ კრიტერიუმთან დაკავშირებით ვერ განიხილეს დაწესებულების თვითშეფასების პროცესი, რადგანაც აკრედიტაციის სტანდარტებში ასეთი კონკრეტული კრიტერიუმი არ იყო წარმოდგენილი. ექსპერტებმა ურჩიეს დაწესებულებას, რომ მომავალში მეტი სიზუსტით თუ მიუდგებოდნენ ამ საკითხს ბევრად დაეხმარებოდათ თავად ეს პროცესი, რომ თითოეულ კრიტერიუმთან დაკავშირებით უკეთ შეეფასებინათ თავიანთი რესურსები. ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ ორივე პროგრამის ზოგადი შეფასება პირველ სტანდარტთან დაკავშირებით იყო როგორც მეტწილად შესაბამისობა, ხოლო მეორე სტანდარტთან სრულად შესაბამისობაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სწავლებისა და შეფასების მეთოდებისას აუცილებელი რესურსების შესახებ ინფორმაციის პროგრამის ოფიციალურ ვერსიაში ასახვას და განახლებული სახით დამტკიცებას. ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ თუ საბჭოს წევრებს სურვილი ექნებოდათ დეტალურად განუმარტავდა ამ საკითხს, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა რომ უმჯობესი იქნებოდა, რადგან მეტწილად შესაბამისობის შედეგი დადგა.

ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ პროგრამა იყო ოფიციალურად დამტკიცებული სათანადო წესით. პროგრამაში იყო ასახული მთელი რიგი საკითხები რასაც ითხოვდა აკრედიტაციის სტანდარტები. მას ეხლდა დანართის სახით თემატიკა, ერთიანი სახით ჩამოყალიბებული, სადაც თემები მიდიოდა თანმიმდევრულად. თუმცა იყო თემატიკა, რომელსაც ახლდა საათობრივი განაწილება თითოეული თემის შესახებ, რა დატვირთვა ექნებოდა პროგრამის მსმენელს. ექსპერტის განმარტებით, პროგრამის ამ დამტკიცებულ ოფიციალურ ვერსიაში არ იყო ასახული, მაგალითად, რომელ აქტივობას გამოიყენებდა ტრენერი თითოეული თემის ასათვისებლად. კონკრეტული მეთოდების განაწილება იყო ძირითადად განსახილველი საკითხი. დოკუმენტურად ამ ნაწილში ექსპერტების განმარტება დააკლდათ, თუმცა ვიზიტის ფარგლებში მათ ადგილზე ნახეს, რომ ამ კუთხით დაწესებულებას ნამუშევარი ჰქონდა, ეს ინფორმაცია იყო განთავსებული დაწესებულების ვებ-გვერდზეც. გარდა ამისა ექსპერტებს ჰქონდათ ტრენერებთან კომუნიკაციის საშუალება. ექსპერტების განცხადებით ისინი ძალიან დეტალურად და შთამბეჭდავად საუბრობდნენ აქტივობებთან დაკავშირებით, კარგი გამოცდილება, საინტერესო მიდგომები ჰქონდათ მთლიანობაში. ექსპერტთა მოსაზრებით ამ ნაწილში დაწესებულებას ჰქონდა ნაფიქრი და არ ედავებოდნენ, თუმცა ფორმალურად და იურიდიულად აუცილებელი იყო, რომ ეს ყოფილიყო დამტკიცებული.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების დირექტორი, ტარიელ ჭულუხაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან განაცხადა, რომ მიღებულ რეკომენდაციებს ამ კონკრეტულთან დაკავშირებით და არა მარტო, აბსოლუტურად იზიარებდა დაწესებულება. ტარიელ ჭულუხაძემ განაცხადა, რომ ისინი ითხოვდნენ დროის მცირე პერიოდს, რომლის ფარგლებშიც შეიძლებოდა დაუყონებლივ

6 ქს

გამოსწორება და ამაზე დაიწყებდნენ იმ დღიდანვე მუშაობას. დამატებით განაცხადა, რომ მის მოადგილეს გიორგი რაზმაძეს, რომელსაც აბარია ამ მიმართულების ხელმძღვანელობა უკვე დაწყებული ჰქონდა სხვა რეკომენდაციებზე მუშაობა და პრაქტიკულად ეს ყველაფერი თითქმის უკვე გათვალისწინებული იყო.

დაწესებულების წარმომადგენელი, გიორგი რაზმაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი და ძალიან შინაარსიანი მუშაობისთვის. მან განაცხადა, რომ სხდომის პირველ ნაწილს დაესწრო და ასევე დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოს, რომ ძალიან ნაყოფიერი ფორმატი შესთავაზეს. პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით, გიორგი რაზმაძემ განაცხადა, რომ უკვე გათვალისწინებულ იქნა მათ მიერ ექსპერტთა რეკომენდაცია და შესაძლებელი იყო ნებისმიერ დროს წარმოედგინათ შესაბამისი მტკიცებულებები. მან მადლობა გადაუხადა კიდევ ერთხელ ექსპერტებს, რომ განაცხადეს, რომ ეს საკითხი ნაფიქრი იყო.

ლიკა გიორგაძემ აღნიშნა მეორე რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, მიზანშეწონილი იყო შეიქმნილიყო პროგრამის შინაარსზე ორიენტირებული სპეციალური სასწავლო რესურსი პროგრამის მსმენელებისათვის, რომელიც კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაზე იქნებოდა ორიენტირებული. ექსპერტის განმარტებით, სასწავლო მასალის ნაწილში მითითებული იყო მრავალრიცხოვანი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ასევე მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები და თანამედროვე აქტუალური სამეცნიერო ჟურნალები, სტატიები რომელთა შემთხვევაში არი იყო კონკრეტული. ექსპერტის თქმით, კრიტერიუმი სტანდარტში იყო შემოტანილი კონკრეტული მიზნით, რომელიც პროგრამის ნაწილი იყო და პროგრამის მსმენელებს გარკვეულწილად ამისი დაფარვის საშუალება უნდა ჰქონდეთ უშუალოდ ამ კურსის ფარგლებში და მეორეს მხრივ ასევე, მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ მომავალში როგორ გაიღრმავონ ცოდნა. ლიკა გიორგაძემ დამატებით განაცხადა, რომ მათი რეკომენდაცია იყო შემუშავებულიყო სასწავლო რესურსი შემოკლებული სახით, სადაც კონკრეტული აქცენტები იქნებოდა დასმული, რომელზეც ტრენერი გაამახვილებდა ყურადღებას სასწავლო პროცესში. ექსპერტის განმარტებით კომუნიკაციის ნაწილში დაწესებულებას მზაობა ჰქონდა და მათი თქმით ამ საკითხთან მიმართებით მათ მუშაობა დაწყებული ჰქონდათ და პროგრამის განხორციელებამდე მათი მხრიდან იქნებოდა ეს საკითხი გადაწყვეტილი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დასახელებული რეკომენდაცია იყო ერთ-ერთი ყველაზე შინაარსიანი და მსმენელზე ორიენტირებული. გიორგი რაზმაძის განმარტებით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, მიღწეულ იქნას ის მიზნები რაც დასახული იყო დადგენილებაში. შესაბამისად, მსმენელს ექნებოდა შესაძლებლობა, რომ არამარტო იმ სივრცეში განივითაროს უნარები და აიმაღლოს კვალიფიკაცია, სადაც ტრენინგი ჩატარდება, არამედ ის წაიღებდა სახელმძღვანელოს შემდგომი განვითარებისთვის. გიორგი რაზმაძემ დამატებით განმარტა, რომ დაწესებულებამ დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა. ამასთან, ეს არ იყო ტექნიკური ხასიათის რეკომენდაცია, შესაბამისად შინაარსობრივ ნაწილში დაწყებული იყო მუშაობა და არსებობდა გარკვეული რესურსი. გიორგი რაზმაძემ განაცხადა, რომ ძალიან მოკლე დროში შეეცდებოდა დაწესებულება წარმოედგინა სახელმძღვანელო. შესაბამისად, სრულად ეთანხმებოდნენ და იზიარებდნენ დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნულ რეკომენდაციას.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ იკითხა მოესწრებოდა თუ არა პროგრამის განხორციელებამდე საკითხის მოგვარება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ერთი კვირის ფარგლებში ეს რესურსი დაწესებულებას მზად ექნებოდა.

ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ მიზანშეწონილი იყო, ტრენერებთან გაფორმებული შეთანხმებებში ასახული ყოფილიყო ტრენინგის განხორციელების კონკრეტული მისამართები. გამომდინარე იქედან რომ დაწესებულება კურსის განხორციელებას გეგმავდა ორ მისამართზე, თბილისსა და ბათუმში. ტრენერებთან გაფორმებული იყო შესაბამისი შეთანხმებები, თუმცა არ იყო მითითებული კონკრეტული ლოკაცია. ლიკა გიორგაძემ განმარტა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება გასაუბრებოდნენ ტრენერებს, რომელთაც ბათუმში მოუწევდათ წასვლა, შესაბამისად მნიშვნელოვანი იყო, რომ შეთანხმების ეტაპზე ამ საკითხზე ყოფილიყო საუბარი. ექსპერტების განმარტებით ტრენერებს, რომლებსაც გაესაუბრნენ ჰქონდათ მზაობა, თუმცა ვურჩიეთ, რომ დოკუმენტაციის დონეზე გაწერილიყო ეს საკითხი. ლიკა გიორგაძემ საბჭოს წევრებს მიმართა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობდა ეს საკითხი რეკომენდაციის სახით განეხილათ თუ რჩევის, შესაბამისად ექსპერტების თქმით საბჭოს წევრების მოსაზრებები აინტერესებდათ ამ საკითხთან მიმართებით, რადგან მომავალში გაეთვალისწინებინათ ესეთი პრეცედენტი.

გიორგი რაზმაძის განცხადებით ეს რეკომენდაცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მისი განმარტებით ეს იყო ტექნიკური ნაწილი, რომლის გამოსწორებაც ერთ საათში იყო შესაძლებელი, როდესაც ამის მზაობა დაწესებულებას ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარე, ნანა ჭილაძე დაინტერესდა, თუ რამდენად მიღწევადი იყო დღევანდელ რეალობაში იმის გათვლა, თუ რომელ ლოკაციაზე იქნებოდა პროგრამის განხორციელების საჭიროება. რაზეც გიორგი რაზმაძემ უპასუხა, რომ დაწესებულებას რესურსი საკმაოდ კარგი გააჩნდა და შესაბამისად შესაძლებელი იყო საქართველოს ნებისმიერ კუთხეში განხორციელებინათ პროგრამები. თუმცა ამ ეტაპისთვის ეს საკითხი განხილული არ იყო. გიორგი რაზმაძემ დამატებით განმარტა, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში დაწესებულებას ჰქონდა გარკვეული რესურსი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ამ მიმართულებით გამოიყენებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელთან დააზუსტა ინფორმაცია იმის შესახებ, იყო თუ არა აკრედიტაციის დებულებით შესაბამისი პროცედურა გათვალისწინებული იმის შესახებ, როდესაც დაწესებულებას სურდა სააკრედიტაციო განაცხადში დაფიქსირებულისგან განსხვავებულ ან დამატებით ლოკაციაზე პროგრამის განხორციელება.

თამარ შენგელიამ განაცხადა, რომ სააკრედიტაციო განაცხადის შესაბამისად დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ან დროებითი სარგებლობის შესაძლებლობის დამადასტურებელ წერილობით შეთანხმებაში მითითებული ფართის ცვლილების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებული იყო ცენტრისთვის წერილობით ეცნობებინა პროგრამის განხორციელებამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე და წარედგინა შეცვლილი ფართის მართლზომიერ მფლობელობაში არსებობის ან დროებითი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა, რა დროსაც დაწესებულება ვალდებული იყო შეცვლილ ფართში პროგრამის განხორციელების დაწყების შესახებ ცენტრს აცნობოს დაუყოვნებლივ და წარუდგინოს ფართის

6. ქს

მართლზომიერ მფლობელობაში არსებობის ან დროებითი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება და განუმარტა, რომ რეკომენდაციის ნაწილი გაიარეს, ამოწურეს პაექრობის ფორმატში. რაზეც გულიყო კაჟაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, დამატებით არაფერი ჰქონდა სათქმელი და წარმატება უსურვა დაწესებულებას.

ნანა ჭილაძემ განაცხადა, რომ რეკომენდაციის ნაწილი ამოწურეს და გადადიოდნენ რჩევების საკითხზე.

ლიგა გიორგაძემ წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რჩევები ორივე პროგრამასთან მიმართებით:

- სასურველია ტრენერებთან დამატებითი კომუნიკაცია და პროგრამით სხვადასხვა თემისათვის გათვალისწინებული საკონტაქტო საათების გადახედვა დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
- სასურველია, შესწორდეს პროგრამაში დაშვებული ტექნიკური უზუსტობები; სასურველია, პროგრამის განხორციელების გეგმამ მიიღოს მეტად ფორმალიზებული ხასიათი და დამტკიცდეს პროგრამასთან ერთად;
- სასურველია სწავლის შედეგების გასაზომად შერჩეული შეფასების მეთოდის და ფორმის გადახედვა, რადგან ცალკეული სწავლის შედეგების შეფასება წერითი ტესტით რთულია და ამასთან, პროგრამაში ჩართულ ტრენერებს აქვთ საინტერესო და ადეკვატური ხედვები, როგორი ფორმით და მეთოდით შეიძლება შეფასდეს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა;
- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმმა გაითვალისწინოს მონაწილეთა მიერ შესრულებული წერილობით ნამუშევრების (ტესტები) შედეგების ანალიზი და მისი შედეგების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
- სასურველია, მემორანდუმის ტექსტში დაფიქსირებული იყოს სსიპ - ბათუმის შოტა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის კონკრეტული ფართი (ოთახი/ოთახები), რომელშიც საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება ტრენინგი. აღნიშნული საკითხის წინასწარი შეთანხმება ხელს შეუწყობს მომავალში ტრენინგის ორგანიზებულად განხორციელებას;
- ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების სისტემის მიზნებისთვის გაიცეს ერთი სახის სერთიფიკატი, რაც გამოყენებულ იქნება საჯარო სამსახურის სისტემაში შესაბამისი მიზნით, რეკომენდირებულია დაწესებულების სასწავლო პროცესის ინსტრუქციაში შესაბამისი ცვლილების შეტანა. აღნიშნული, თავის მხრივ, დაწესებულებას არ ზღუდავს, მონაწილეებზე დამატებით გასცეს განსხვავებული სერთიფიკატიც;
- სასურველია შეეცვალოს ფორმულირება დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციის 26-ე მუხლის 2.3 პუნქტში მითითებულ „მოისმინას“ სახის სერთიფიკატს, რადგან მისი გაცემა გათვალისწინებულია პროგრამის მსმენელის მიერ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში; სასურველია, ტრენინგის

6 ქმ

მეთოდოლოგიის სახელმძღვანელომ მკაფიოდ გაითვალისწინოს სამიზნე ნიშნულების დადგენის და მისი გაუმჯობესების მექანიზმი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ეს იყო ექსპერტთა მიერ შემუშავებული რჩევები და კითხვების შემთხვევაში შეეცდებოდა ამომწურავად ეპასუხა.

გიორგი რაზმაძემ განაცხადა, რომ პირველ რჩევასთან დაკავშირებით, ეს იყო საათობრივი დატვირთვის ნაწილი, განაცხადა, რომ დაწესებულება შეზღუდული იყო საათობრივ ნაწილში. მაქსიმალური დატვირთვა შეადგენდა 40 საათს და მოხელის მენეჯერული უნარების განვითარების პროგრამაში დაწესებულებამ 34 საათი გაითვალისწინა. ამასთან, დაწესებულებამ გაითვალისწინა საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაცია, იმიტომ რომ ჩათვალეს ძალიან კვალიფიციური ადამიანების შექმნილი იყო. მისი შეფასებით, ეს სარეკომენდაციო ფორმატი კარგად მოერგო მათ პროგრამას. გიორგი რაზმაძემ განაცხადა, რომ თითო თემატიკისთვის 40 საათიც კი ამდენი უნარის განსავითარებლად არასაკმარისად მიაჩნდათ. თუმცა მათი ღირებულებისა და ამ ყველაფრის ბალანსით დაწესებულებამ ჩათვალა რომ 34 საათი საკმარისი იყო. მან ასევე დამატებით განმარტა, რომ იმ შემთხვევაში თუ ამ საკითხს აიტანდნენ რეკომენდაციის ნაწილში, დაწესებულება მზად იყო, რომ გადაეხედა. თუმცა მიაჩნიათ, რომ უმჯობესი იქნებოდა პრაქტიკაში დაენახათ, თუ როგორ განვითარდებოდა მათი კურსები. გიორგი რაზმაძის განცხადებით ტექნიკურ უზუსტობებს აბსოლუტურად იზიარებდნენ და გაითვალისწინებდნენ. შემდეგი რჩევა იყო შეფასების მეთოდი და ფორმების გადახედვა, რომელსაც დაწესებულება ასევე სრულიად იზიარებდა. გიორგი რაზმაძემ ასევე განაცხადა, რომ მათ დაიწყეს მუშაობა, ქეისების მიმართულებით იქნება შეტანილი ყველა ის ცვლილებები ასევე მარეგულირებელ ინსტრუქციაში და სხვა სახელმძღვანელოებში იმისთვის რომ ზუსტად გაწერილიყო თუ შეფასების რა სისტემას შესთავაზებდნენ. შემდეგი რჩევა იყო მემორანდუმის ტექსტში დაფიქსირებულ ფართთან და ოთახებთან მიმართებით. გიორგი რაზმაძის განაცხადით მარტივად გასათვალისწინებელი იყო და უმოკლეს დროში მარტივად შესასრულებელი. შემდეგი რჩევა იყო ერთი სახის სერტიფიკატთან დაკავშირებით, რაც დაწესებულების განმარტებით აბსოლუტურად არ იყო პრობლემა. აქვე, გიორგი რაზმაძემ იკითხა რამდენად მისაღები იქნებოდა ეს დამკვეთი ორგანიზაციისთვის, რადგან დაწესებულებას რამდენიმე მიდგომის სერტიფიკატი ჰქონდა, შესაძლებელი იყო დამკვეთს სურვილი ჰქონოდა მომხდარიყო დიფერენციაცია. რათა დაენახათ ახლად მოსული საჯარო მოხელეების შესაძლებლობები. ვინ იყო ყველაზე წარმატებული და არა ვთქვათ მხოლოდ ის, რომ წარმატებით გაიარა. გიორგი რაზმაძემ განაცხადა, რომ შეიძლებოდა საუბარი, თუმცა, მისაღები იყო მათთვის რეკომენდაცია და შესაძლებელი იყო გამოსწორება. რაც შეეხებოდა „მოისმინა“ სერტიფიკატს დაწესებულება აბსოლუტურად ეთანხმებოდა ექსპერტებს, მოისმინა სერტიფიკატი დადებითი შეფასების მიღების მიმართულებით იქნებოდა შესწორებული.

საბჭოს წევრი, სალომე ფრუიძე დაინტერესდა, თუ რა რამდენი პროცენტი ითვლებოდა დადებით შეფასებად. რაზეც გიორგი რაზმაძემ უპასუხა, რომ 505-ზე მეტი და დამატებით განაცხადა, რომ დაწესებულება მოახდენდა შესწორებას, რომ ზუსტი კრიტერიუმები დადგენილიყო მოისმინას შემთხვევაში. გიორგი რაზმაძემ განაცხადა, რომ წარმატების კრიტერიუმში აიწევდა და მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოში მკაფიოდ გაწერდნენ სამიზნე ნიშნულების დადგენისა და მისი გაუმჯობესების მექანიზმებს.

6 ქს

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, მხარეებს ხომ არ დარჩათ უკმარისობის განცდა და რომელიმე საკითხი, ხომ არ დარჩა განხილვის მიღმა.

ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ დაზუსტება უნდოდა საკონტაქტო საათებთან დაკავშირებით, რადგანაც დადგენილება აძლევდათ ლავირების საშუალებას, დაწესებულებას შეეძლო რომელიმე კონკრეტულ მიდგომაზე შეთანხმებულიყო და უმჯობესი იქნებოდა, რომ მეტი დრო ჰქონოდათ განსაზღვრული.

დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ მუშაობის პროცესში გამოჩნდებოდა ყველაფერი, რადგან ცოცხალი პროცესი იყო.

სალომე ფრუიძემ გამოხატა დაინტერესება, კურიკულუმის შემუშავებაში პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების გარდა, სხვა დაინტერესებული პირებიც, ხომ არ იყვნენ ჩართულები. რაზეც გიორგი რაზმაძემ უპასუხა, რომ მხოლოდ მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაწერილი პირები იყვნენ ჩართულნი.

სალომე ფრუიძე დაინტერესდა ბიუჯეტში მოცემული ფასი თითო მსმენელზე იყო გათვლილი 20 კაციანი ჯგუფის შემთხვევაში, თუ ჯგუფში ნებისმიერი რაოდენობის შემთხვევაშიც იგივე იქნებოდა. გიორგი რაზმაძემ უპასუხა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ეს ფასი იყო მოცემული და დამატებით განმარტა, რომ ისინი მაქსიმალურად მოქნილები იქნებოდნენ პირველ ეტაპზე, რადგან დააკმაყოფილონ ის მოთხოვნა, რომელიც არსებობდა რეფორმის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა დაწესებულების პროგრამების თვითშეფასებებში მოცემული მწირი ინფორმაცია დახარვეზების საფუძველი ცენტრის მხრიდან ფორმალური შესაბამისობის დადგენის ეტაპზე. თამარ შენგელიამ განმარტა, რომ თვითშეფასებებში ინფორმაცია ყველა კომპონენტთან მიმართებით იყო მოცემული, თუმცა იყო მწირი. ამ საკითხზე მიეთითა დაწესებულებას ფორმალური შესაბამისობის დადგენის ეტაპზე შესაბამის კორესპონდენციაში, თუმცა დაწესებულების მხრიდან არ მოხდა ინფორმაციის განვრცობა, რაც არ წარმოადგენდა სააკრედიტაციო განაცხადის განუხილველად დატოვების საფუძველს.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ადასტურებდნენ თუ არა ექსპერტები, რომ მათ მიიღეს ვიზიტის ფარგლებში მეტი ინფორმაცია ვიდრე თვითშეფასების ანგარიშში იყო მოცემული. რაზეც ლიკა გიორგაძემ უპასუხა, რომ თვითშეფასება უნდა იყოს აღწერილობითი და შეფასებითი, ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში მოიპოვეს დოკუმენტები, რომელმაც მთლიანობაში შეფასების შესაძლებლობა მისცა ექსპერტებს.

გიორგი რაზმაძის განმარტებით, თვითშეფასებაში მოცემული მწირი ინფორმაციის მიზეზი მხოლოდ იმით იყო განპირობებული, რომ მათ პრაქტიკაში პირველად ხდებოდა აკრედიტაციის პროცესი. მან დამატებით განმარტა, რომ ამ პროცესში გარე ექსპერტები არ მუშაობდნენ, მთლიანად დაწესებულების ძალებით მოხდა პროგრამების და სხვა დოკუმენტების შემუშავება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის "მოხელის მენეჯერული უნარების" პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის "მოხელის მენეჯერული უნარების" პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭო თავმჯდომარის განმარტებით, საბჭო იზიარებდა ორივე პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, დაწესებულებას განესაზღვრა 3 თვე (26.12.2019) ანგარიშის წარმოსადგენად.

5. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „მოხელის მენეჯერული უნარები“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა
6. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებსა და ექსპერტთა დასკვნების პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უკუკავშირს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ შესთავაზა ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს რეკომენდაციების ნაწილი პაექრობის ფორმატში განეხილათ ისევე როგორც წინა საკითხების განხილვის დროს. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ მხარეები დროში შეზღუდულები არ იყვნენ და სანამ სრულად არ მოხდებოდა განსახილველი საკითხების ამოწურვა, მათ მიეცემოდათ ამისთვის შესაბამისი დრო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიხეილ ტეფნაძემ წარადგინა ჯგუფის შემადგენლობა. მისი განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 07 აგვისტოს N694 ბრძანების შესაბამისად, განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ წარმოდგენილი „მოხელის მენეჯერული უნარებისა“ და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შეფასება. ვიზიტის პერიოდი მოიცავდა 14 და 15 აგვისტოს ქ. ქუთაისში და 16 აგვისტოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში. ექსპერტის განცხადებით, პირველი პოზიტიური გარემოება, რითაც შესაძლებელი იყო დაწესებულების წარდგენა, წარმოადგენდა ადამიანური რესურსები. სოფელ ლამბალოს რეგიონული ცენტრის ადმინისტრატორი, ქალბატონი ეთერ პატარკაციშვილი, რომელიც კარგად იცნობდა ადგილობრივ სპეციფიკას და მან ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის განხორციელების გეგმის შესახებ. ვიზიტის ფარგლებში შედგა გასაუბრებები ქ. ქუთაისში დაწესებულების წარმომადგენლებთან და განხორციელდა სასწავლო ფართებისა და მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება. მიხეილ ტეფნაძის განცხადებით, ორივე პროგრამასთან მიმართებით რეკომენდაციები იყო საერთო, ხოლო რჩევები იყო განსხვავებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წინაშე წარადგინა დასკვნებში დაფიქსირებული პირველი რეკომენდაცია პროგრამის შინაარსის სტანდარტის 1.4 კომპონენტთან მიმართებით:

- იმისათვის, რომ პროგრამის სტრუქტურა იყოს თანმიმდევრული, ლოგიკური და შესაძლებელი იყოს N242-ე დადგენილებით განსაზღვრული კომპეტენციების შეძენა, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს საგანზე დაშვების წინაპირობები. გამომდინარე აქედან, სასწავლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს კიდევ ერთი კომპონენტი ცალკეულ საგნებზე დაშვების წინაპირობების შესახებ, რომელიც თავის მხრივ აისახება სწავლის შედეგების რუკაში, სილაბუსების დაშვების წინაპირობებსა და სხვა დანარჩენ კომპონენტებში. უფრო მეტად ცხადი გახდება მთლიანად პროგრამის განხორციელების გეგმა, რაც გულისხმობს, პროგრამით გათვალისწინებული საგნების საათობრივი დატვირთვის გადანაწილებას დღეების მიხედვით.

მიხეილ ტეფნაძის განცხადებით იმისათვის, რომ ექსპერტთა აღნიშნული რეკომენდაცია ყოფილიყო უფრო ცხადი და გამოირიცხულიყო სუბიექტური შეფასება, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს რომელიმე ექსპერტის გამოცდილებას, მნიშვნელოვანი იყო, უშუალოდ იმ მასალების განხილვა საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ეყრდნობოდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია. მან თხოვა ცენტრის წარმომადგენლებს საბჭოს წევრებისთვის და დაწესებულების წარმომადგენლებისთვის თვალსაჩინოებისთვის წარედგინათ ასლები დაწესებულების დოკუმენტაციიდან, რომელიც წარმოადგენდა დასკვნების დანართებს. კერძოდ, განხილვის საგანს წარმოადგენდა კომპეტენციების რუკა, რომელსაც ეყრდნობოდა ექსპერტების მსჯელობა. საწყის ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფს არ უფიქრია, რომ შესაძლოა პროგრამას დაჭირვებოდა დაშვების წინაპირობებზე აწყობილი საგნობრივი კონსტრუქცია, მაგრამ უშუალოდ დაწესებულების მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების რუკა კარნახობდა დაშვების წინაპირობების ქონას საგნებთან მიმართებით. ცხრილს ვერტიკალურ ველში აღნიშნული იყო თემა და მისი შესაბამისი საკითხები და მაგალითისთვის, ამ ცხრილში იყო თემა „ლიდერობა და გუნდის მართვა, გუნდის გაძლიერება და მოტივირება, გენდერული თანასწორობა“ და მონიშნული იყო რომ ის გადიოდა ეფექტური კომუნიკაციისა და მოლაპარაკების წარმართვის უნარზე, თუმცა ქვემოთ მოცემულ საკითხთა ერთობლიობაში არცერთი საკითხი არ იყო მონიშნული, რომელიც ამ უნარის განვითარებას უწყობდა ხელს. ინტერვიუების პროცესში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ კითხვაზე ექსპერტებმა მიიღეს დაწესებულების წარმომადგენლებისგან პასუხი, რომ ამ შინაარსით აღნიშნული უნარის განვითარების შესაძლებლობა დამოკიდებული ყოფილიყო სხვა საგნებზე. ექსპერტმა ცხრილიდან ასევე, მაგალითის სახით მოიყვანა თემა „მომსახურება და ხარისხის მართვა“. მან აგრეთვე დასძინა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რჩევები სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით, კიდევ უფრო ამყარებდა ზემოთ დასახელებულ რეკომენდაციის შინაარსს. კერძოდ, იმასთან მიმართებით, თუ როგორ შეიძლება სწავლის შედეგების რუკა იყოს შედგენილი საკითხებით მისაღწევი კომპეტენციების ჯამების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორმა, ქეთევან ჯაყელმა ხაზი გაუსვა საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების პროგრამების მნიშვნელობას საჯარო სამსახურის რეფორმის პროცესში. მისი განცხადებით, საქართველოში პირველად ჰქონდა ადგილი ამ მიმართულებით ხარისხის მართვის ინსტრუმენტების

6. ქა

განვითარებას. ქეთევან ჯაყელის განცხადებით მას ჰქონდა ოც წლიანი გამოცდილება ტრენინგების შემუშავებისა და განხორციელების. ამ პროცესში ის ხელმძღვანელობდა უცხო ქვეყნებისა და ცალკეული ექსპერტების კვალიფიკაციითა და გამოცდილებით. მისი განმარტებით დაწესებულება არ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას წინაპირობებთან დაკავშირებით. ის გააკეთებდა საერთო შეფასებას, ხოლო სხდომაზე დამსწრე პროგრამის ხელმძღვანელები, გიორგი ემინაშვილი და ნინო ნანიკაშვილი უფრო დეტალურად განმარტავდნენ დაწესებულების პოზიციას. ქეთევან ჯაყელის განცხადებით, მოდულებზე დაშვების წინაპირობას N242-ე დადგენილების თანახმად, წარმოადგენდა მხოლოდ შესაბამისი რანგები პროგრამების მიხედვით. რაც შეეხებოდა საგნების ჩაშლას, რისგანაც შედგებოდა მოდულები, თითოეულ საგანზე წინაპირობის დაშვების გაჩენა, ნიშნავდა მსმენელის მიერ ყოველი შემდგომი საგნის გავლის ვერიფიკაციას. პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავდა ასევე, შეფასების პროცესსაც. საკონტაქტო საათების გადამეტების უფლება დაწესებულებას არ ჰქონდა. შესაბამისად, ცალკეული საგნების გავლის შემდეგ დამატებითი შეფასების ღონისძიების გატარება, არ მიაჩნდა დაწესებულებას მიზანშეწონილად დროის სიმცირიდან და იმ კომპეტენციებიდან გამომდინარე, რომელზეც მთლიანად პროგრამა გადიოდა და არა ცალკეული საგნები. ორივე პროგრამის შემთხვევაში, საგნების ერთობლიობას მსმენელი გაჰყავდა შესაბამის შედეგებზე, კერძოდ, დადგენილებით განსაზღვრულ კომპეტენციებზე. ამასთან, სერტიფიკატის გაცემის პროცედურა მოიცავდა 80%-იანი დასწრების კომპონენტს. აღნიშნულის შესაბამისად, მსმენელს ჰქონდა 20%-ის გაცდენის შესაძლებლობა. ზოგიერთ შემთხვევაში საგნის ხანგრძლივობა 20%-ზე ნაკლები იყო. შესაბამისად, თუკი ამ საგნის გაცდენის უფლებას ვაძლევთ მსმენელს, წინაპირობა აღარ იყო სახეზე. მისი თქმით ასევე, ყურადსაღები იყო ის გარემოება, რომ ეს ტრენინგ მოდული მიმართული იყო საჯარო მოხელის კვალიფიკაციის ამაღლებისკენ, პროფესიული უნარების განვითარებისკენ და არა ცოდნის მიღებისკენ. საჯარო სექტორში დასაქმებული პირი ისედაც უნდა აკმაყოფილებდეს იმ კომპეტენციებს და ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა თავისი რანგის შესაბამისად. აღნიშნული ტრენინგის დანიშნულება იყო უკვე არსებული ცოდნისა და კომპეტენციების გაუმჯობესება და დამსაქმებლის მოთხოვნებზე მორგება. დაწესებულებას ძირითადად მუშაობდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებზე, რომლებიც ახალი რეგულაციის შემოღების შემდეგ საჯარო მოხელის სტატუსს ფლობდნენ. მიუხედავად საერთო მოთხოვნებისა, გარკვეული სპეციფიკა ჰქონდა ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების საქმიანობას. მან კიდევ ერთხელ დასძინა, რომ დაწესებულება არ იზიარებდა ექსპერტთა რეკომენდაციას და ორივე პროგრამა გადიოდა შესაბამის შედეგებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ემინაშვილმა, რომელიც წარმოადგენდა მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის ხელმძღვანელს განაცხადა, რომ ის არ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას კონკრეტული საკითხების კომპეტენციებზე ვერ გასვლასთან დაკავშირებით. რეალურად სახეზე იყო არა საგნები არამედ თემები, დაწესებულება ვერ გაცდებოდა დადგენილებით განსაზღვრულ ტერმინოლოგიას. ტრენინგის მოდულით გათვალისწინებული საგნები ჯამურად გადიოდა იმ კომპეტენციებზე, რაც N242-ე დადგენილების დანართით იყო გათვალისწინებული. მან აღნიშნა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ კითხვა, თუ რატომ არ შეიძლებოდა, რომ სხვა კომპეტენციებზეც გასულიყო. გიორგი ემინაშვილის განმარტებით, თემები გადიოდა სხვა კომპეტენციებზე, თუმცა ესენი წარმოადგენდა თანმდევ ეფექტებს, რომელთა აღნიშვნა ვერ მოხდებოდა სწავლის შედეგების რუკაში. აქედან გამომდინარე დაწესებულება არ იზიარებდა ამ რეკომენდაციას.

დაწესებულების დირექტორმა, ქეთევან ჯაყელმა დამატებით დასძინა, რომ N242-ე დადგენილებით განსაზღვრულ კომპეტენციებზე ერთიანი მოდული გადიოდა და არა ცალკეული თემატიკა. ამ არგუმენტის გასამყარებლად მან მაგალითის სახით მოიყვანა, ერთ-ერთ შეხვედრაზე თბილისის მერიის წარმომადგენლის შეკითხვა, შეიძლება თუ არა ცალკეულ საგანზე შესყიდვის გამოცხადება, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო, რადგანაც ეს მოდული წარმომადგენდა ერთ მთლიან პროდუქტს. ასევე, პროგრამების შემუშავების პროცესში ჩვენ მიღებული გეჟონდა კონსულტაცია, რომ შესაძლებელი იყო ცალკეული საგანი გადიოდა დადგენილებით განსაზღვრულისგან განსხვავებულ კომპეტენციაზე და მთავარი იყო მთლიანად პროგრამა გასულიყო შედეგებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამატებითი განმარტების შესაძლებლობა მისცა ექსპერტთა ჯგუფს.

ექსპერტმა, თინათინ კუპრაშვილმა აღნიშნა, რომ ის დააზუსტებდა რამდენიმე ფაქტობრივ გარემოებას საკითხების ინტერპრეტირების თავიდან აცილების მიზნით. მისი განცხადებით, როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მთლიანად პროგრამა უნდა გადიოდა კომპეტენციების ჯამზე და ეს გარემოება ექსპერტებსაც დაფიქსირებული ჰქონდათ დასკვნებში. ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ პროგრამები და მათში ჩაშლილი საგნები კრებითად პასუხობდა ყველა იმ კომპეტენციას, რომელიც N242-ე დადგენილებით იყო გათვალისწინებული. ამ საკითხზე ექსპერტები არ დაობდნენ და ეთანხმებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლებს. დასკვნაში არ იყო საუბარი არც თანმდევ ეფექტებზე. ასევე, რეკომენდაციაც არ ითვალისწინებდა გარკვეულ განჭვრეტადობას თანმდევ ეფექტებთან დაკავშირებით და ექსპერტთა შეფასება შემოიფარგლებოდა N242-ე დადგენილებით განსაზღვრული კომპეტენციებით. მისი განცხადებით, ყველაზე მნიშვნელოვანი ხაზგასასმელი გარემოება იყო ის, რომ ექსპერტები ამ რეკომენდაციაში არ აღნიშნავდნენ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებზე, რომლებიც დადგენილებით იყო განსაზღვრული, არამედ საუბარი იყო საგნებს შორის დაშვების წინაპირობებზე. ექსპერტები ეხმაურებოდნენ იმ გარემოებას, რომ პროგრამამ კრებითად უნდა უზრუნველყოს მსმენელისთვის ყველა კომპეტენციის შეძენა. შესაბამისად, პროგრამას უნდა უზრუნველყოს იმის ხედვა და განჭვრეტადობა, რომ ნამდვილად ის საგნები, რომლებიც იყო მითითებული აღნიშნულ პროგრამაში შეძლებდნენ მსმენელისთვის ამ კომპეტენციის შეძენას. სწორედ ამ მიზნით ჰქონდა დაწესებულებას შემუშავებული კომპეტენციების რუკა, აღნიშნული გარემოება ინტერვიუების პროცესშიც დაადასტურეს დაწესებულების წარმომადგენლებმა. ექსპერტის განმარტებით, ამ დოკუმენტში რიგ შემთხვევებში საგნების კრებითი კომპეტენციების მატრიცა განსხვავებული იყო ამ საგნის ქვემოთ ჩაშლილი ქვეთემატიკების კომპეტენციების ჯამთან. აღნიშნული აცდენა ფიქსირდებოდა კომპეტენციების რუკაში და ვიზიტის დროს ინტერვიუების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი ცდილობდა დაედგინა პროგრამების განმახორციელებლების განჭვრეტადობა ამ საკითხთან დაკავშირებით. ვინაიდან ამ დოკუმენტში რიგ შემთხვევებში საგნის გასწვრივ მონიშნული იყო ისეთი კომპეტენცია, რომელიც არ ფიქსირდებოდა ქვესაკითხებში და დაწესებულების წარმომადგენლების ახსნა ამ საკითხთან დაკავშირებით იყო, რომ კრებითად სხვა საგანთან ბმაში შესაძლებელი იყო ამ საგნის გასვლა შესაბამის კომპეტენციებზე. ინტერვიუს დროს ასევე, აღნიშნული იყო, რომ სულ მცირე თანმიმდევრობის დადგენა მაინც უნდა მომხდარიყო საგნებს შორის, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა ერთმანეთთან ბმაში მყოფი საგნების შეთავაზების რიგითობის განსაზღვრა.

6. ქ

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ ექსპერტებმა არ გაიზიარეს დასკვნის პროექტებთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უკუკავშირი. აღნიშნული განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ დაწესებულების არგუმენტაცია სრულად გადადიოდა N242-ე დადგენილებაზე. ექსპერტთა ჯგუფი ეჭვქვეშ არ აყენებდა აღნიშნული დადგენილების დანართით გათვალისწინებული მოდულების შინაარსს. ექსპერტები აფასებდნენ პროგრამის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან, თუ როგორ ჰქონდა დაწესებულებას ამ დადგენილების მიხედვით აწყობილი შესაბამისი პროგრამები. შესაბამისად, შეფასების საგანს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინდიკატორები, მათ შორის ზემოთ დასახელებული ცხრილი, სწავლის შედეგების რუკა. ექსპერტების ინტერესის საგანს წარმოადგენდა, თუ როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება სტანდარტის 1.4 კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის დადასტურებას, კერძოდ პროგრამისა და მისი სტრუქტურის ლოგიკურობისა და თანმიმდევრულობის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში ჰქონდათ მათ შესაძლებლობა დაესვათ შესაბამისი კითხვები დაწესებულების წარმომადგენლებისთვის და საბჭოს სხდომაზე ამ სახის კითხვებით დაზუსტება მოხდებოდა საბჭოს წევრების მიერ გადაწყვეტილების მისაღებად მათი პოზიციების შეჯერებისთვის. ამასთან, ის მაღლობას უზდიდა ექსპერტებს განსახილველი საკითხების წარმოჩენისთვის. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოდულების / საგნების წინაპირობებთან დაკავშირებით იქნებოდა პრეცედენტული, რადგანაც პირველად ხდებოდა ამ საკითხების განხილვა აღნიშნულ ფორმატში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ემინაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამებში საგნების თანმიმდევრობა აბსოლუტურად იდენტური იყო N242-ე დადგენილების დანართით განსაზღვრული მოდულებთან. შესაბამისად, ექსპერტთა შეფასება ეჭვქვეშ აყენებდა აღნიშნული დანართის შინაარსის ლოგიკურობას. ამასთან, კონკრეტული საკითხების შესაბამის კომპეტენციებზე გასვლასთან დაკავშირებით, მან დასძინა, რომ მნიშვნელოვანი იყო ტრენერისა და სატრენინგო მასალის ფაქტორებიც. ვიზიტის ფარგლებში შეზღუდული დროიდან გამომდინარე არ იყო იმის საშუალება, რომ თითოეულ ტრენერს დაწვრილებით განემარტა ექსპერტებისთვის ის მეთოდოლოგია, რომელსაც გამოიყენებდა ტრენინგის ჩატარების პროცესში. რაც შეეხებოდა თანმდევ ეფექტებს, ზემოთ დასახელებული გარემოებიდან გამომდინარე, ექსპერტი შეფასების შედეგად ვერ გამოიტანდა ასეთ დასკვნას და შესაძლოა ეს მათ ინდივიდუალურ გამოცდილებას ეფუძნებოდა. მისი განცხადებით, ის გამეორდებოდა და კიდევ ერთხელ დააზუსტებდა, რომ მნიშვნელოვანი იყო რომ მთლიანად პროგრამა გასულიყო დადგენილებით განსაზღვრულ ყველა კომპეტენციაზე. შესაძლებელი იყო რომელიმე ორი საკითხის ერთმანეთთან ბმა გასულიყო ჯამურ კომპეტენციაზე, შესაბამისად, ეს წარმოადგენდა პროფესიონალი ტრენერის გადაწყვეტილებას. ცოტა უფრო რთული იქნებოდა არა პროფესიონალი ტრენერისათვის ამ საკითხების სწორედ აღქმა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ჭილაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ განაცხადა, რომ აკადემიური პროგრამების შემთხვევაში ნათელი იყო საგანზე დაშვების წინაპირობების საკითხი. ამ მოდულებთან მიმართებით, მისი ინტერესის საგანს წარმოადგენდა, რამდენად იყო შინაარსობრივი ბმა ამ საგნებს შორის.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ჭილაძემ აქვე დასძინა, რომ მისი ინტერესის საგანს წარმოადგენდა, ექსპერტთა მოსაზრება ამ ფორმატის პროგრამებთან მიმართებით, თუ რა იყო წინაპირობების მიზანი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიხეილ ტეფნაძემ განმარტა, რომ მათი ხედვით, ვინაიდან ისინი ორიენტირებულები იყვნენ მსმენელებისთვის დადგენილებით განსაზღვრული უნარების განვითარებისკენ, პირველი ფაქტორი იყო უნარების განვითარების რიგითობა. კერძოდ, დალაგებულიყო თანმიმდევრობით რა რის შემდეგ უვითარდება მსმენელს, ასევე, შემდეგი უნარი ქვედა უნარის გამყარებასა და მდგრადობას როგორ უწყობდა ხელს, ამ მიმართულებით შესაძლებელი იყო შეფასება. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო შინაარსობრივად საგნების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დალაგება. მან კიდევ ერთხელ დასძინა, რომ ექსპერტთა შეფასება არ ეყრდნობოდა მათ სუბიექტურ შეხედულებას ან /და გამოცდილებას და დაფუძნებული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, რომელმაც მსჯელობის აუცილებლობა წარმოშვა.

საბჭოს თავმჯდომარე, ნანა ჭილაძე დაინტერესდა, პირობითად თუ არ მოხდებოდა სწავლის შედეგების აღნიშნული რუქით ხელმძღვანელობა, დაჭირდებოდა თუ არა წინაპირობა მოდულში შემავალ თემებს.

მიხეილ ტეფნაძის განცხადებით, თუ საბჭოს წევრები ინტერესდებოდნენ მისი სუბიექტური შეფასებით, ის მოდულის აწყობას მოახდენდა ეფექტური კომუნიკაციის უნარის განვითარებით, რომელზეც შემდეგ დაეყრდნობოდა სხვა უნარები. შესაბამისად, შინაარსობრივი ბმა მნიშვნელოვანი იყო.

საბჭოს თავმჯდომარე, ნანა ჭილაძე დაინტერესდა ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულების დირექტორის მიერ გამოთქმულ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული სატრენინგო პროგრამების ფარგლებში დაწესებულება ორიენტირებული იქნებოდა მსმენელებისთვის არა უნარების შეძენაზე არამედ მათ განვითარებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით პროგრამებს არ ჰქონდა პრეტესტის ნაწილი, საიდანაც მოხდებოდა დადგენა, თუ რა უნარებით მოდიოდნენ მსმენელები აღნიშნულ პროგრამაზე და საიდან უნდა დაწყებულიყო ამ უნარების განვითარება.

საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულების არგუმენტთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდებოდა 20%-ის ფარგლებში გაცდენის შესაძლებლობის პირობებში წინაპირობის ვერ დაკმაყოფილების საკითხს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, კარგად შემუშავებული პროგრამის შემთხვევაში ეს 20% არ უნდა ყოფილიყო ერთი საგნის ჩაგდების საფუძველი. თუკი დაწესებულება მსმენელს ანიჭებს სერტიფიკატს, რითაც დასტურდება, რომ გარკვეული უნარები განივითარა მსმენელმა, მაშინ საკონტაქტო საათები ისე უნდა იყოს განაწილებული და ისეთი ჩარჩო უნდა იყოს მოცემული, რომ ერთი ან რამდენიმე კომპეტენციის გამოსამუშავებელი საათობრივი დატვირთვის გაცდენის საშუალება არ უნდა მიეცეს მსმენელს.

დაწესებულების დირექტორმა, ქეთევან ჯაყელმა განაცხადა, რომ ის გადანაწილება, სადაც 20% არ უნდა შეადგენდეს ერთ საგანს, მისაღები იქნებოდა აკადემიური პროგრამებისთვის, რომლის

დასრულების შემდეგაც კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს მიღებული ცოდნა და შექმნილი უნდა ჰქონდეს უნარებიც. აღნიშნული ტრენინგების ფარგლებში, ამა თუ იმ უნარის განვითარების დასტურს იძლეოდა საბოლოო კომპლექსური შეფასება. ასევე, მან განაცხადა, რომ პროგრამაში პრეტესტის მექანიზმის არ არსებობა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ იყო წინასწარი გონივრული მოლოდინი, რომ მსმენელის როგორც საჯარო მოხელის უნარების შეფასება თანამდებობაზე დანიშვნამდე შეაფასა მისმა დამსაქმებელმა.

საბჭოს წევრი, სალომე ფრუიძე დაინტერესდა დაწესებულების მოსაზრებით, სწავლის შედეგების რუქის ცხრილში უნდა იყოს თუ არა აღნიშნული საგნები ჩაშლილი და „x“ აღნიშვნები საგნების გასწვრივ თუ უნდა ფიქსირდებოდეს.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, მისი მრავალწლიანი პრაქტიკიდან გამომდინარე, ის მიიჩნევდა, რომ დაშვების წინაპირობა მიუღებელი იყო მსგავს მოდულებში. იგივე პრინციპი შეეხებოდა თემებსა და საკითხებთან მიმართებით წინაპირობებისა და ვალიდაციის მექანიზმს. რაც შეეხებოდა სწავლის შედეგების რუქას, მისი მოსაზრებით ეს ზედმეტი სამუშაო დოკუმენტი იყო აღნიშნული პროგრამისთვის.

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის, ეკატერინე ქარდავას განცხადებით, N242-ე დადგენილების დანართით გათვალისწინებული მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის მოდულები მიმართული იყო მსმენელისათვის მოხელის რანგის შესაბამისი უნარების განვითარებისაკენ. ასევე, მან აღნიშნა, რომ დადგენილების მიზნებიდან გამომდინარე არ არსებობდა წინაპირობების არსებობის საჭიროება მოდულით გათვალისწინებულ საგნებს შორის. ასევე, აღნიშნული დადგენილებით იყო გათვალისწინებული დათქმები მოხელის მიერ კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე კონკრეტული საგნების გავლასთან დაკავშირებით. აქვე, ეკატერინე ქარდავამ განმარტა, რომ თუ დაწესებულების დოკუმენტი, წარმოშობდა ერთგვარ გაუგებრობას, შესაძლებელი იყო მისი შინაარსის დაკორექტირება.

საბჭოს წევრმა, ფიქრია თათარაშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით მხარეებს შორის წინაპირობების არსებობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეული იყო, განსხვავებული აღქმით ამ პროგრამების მიზნებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ პროგრამა აძლევდა მსმენელს არა საბაზისო ცოდნას, არამედ უკვე უვითარებდა არსებულ უნარებს. ამასთან, მისი განცხადებით, სხდომაზე განსახილველი საკითხების დასკვნებში გვხვდებოდა ჩანაწერები სადაც დაფიქსირებული იყო, რომ საკონტაქტო საათები არ იყო საკმარისი მოდულებით გათვალისწინებული საგნებიდან ცოდნის მისაღებად. შესაბამისად, არ არსებობდა ერთიანი აღქმა იმასთან დაკავშირებით, უკვე არსებულ უნარებს უნდა უვითარებდეს პროგრამა მსმენელს, თუ საბაზისო ცოდნას უნდა იძლეოდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ჭილაძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ ჰქონდათ სურვილი შემაჯამებელი პოზიცია წარმოედგინათ პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ემინაშვილმა განაცხადა, რომ სწავლის შედეგების რუკა არ უნდა ყოფილიყო აღქმული როგორც ფურცელი, რომელიც უნდა არსებობდეს, არამედ ეს დოკუმენტი უნდა ყოფილიყო ტრენინგებისთვის სახელმძღვანელო. ამ მიზნით იყო ცხრილი ასეთი დეტალური სახით წარმოდგენილი.

დაწესებულების დირექტორმა, ქეთევან ჯაყელმა კიდევ ერთხელ დასძინა, რომ დაწესებულება არ იზიარებდა ექსპერტთა რეკომენდაციას და არ უნდა მომხდარიყო თემებს შორის დაშვების წინაპირობების განსაზღვრა. მისი განმარტებით, ამ რეკომენდაციის გაზიარებით აღსრულებაც შეუძლებელი იქნებოდა, ერთიან მოდულად აღარ აღიქმებოდა პროგრამა. სწავლის შედეგების რუქის ფორმა ორივე პროგრამის შემთხვევაში განსხვავებული იყო და პროგრამების ხელმძღვანელებს შეეძლოთ აეხსნათ აღნიშნულის ლოგიკა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, მიხეილ ტეფნაძის განცხადებით, აღნიშნულ პროცესში ის დაწესებულების წარმომადგენელი, რომ ყოფილიყო სწავლის შედეგების რუქასთან დაკავშირებით განაცხადებდა, რომ სახეზე იყო ტექნიკური უზუსტობები და მეტწილად გაუგებრობაც აღმოიფხვრებოდა. ამასთან, თუკი დაშვების წინაპირობები და ლოგიკური ჩარჩო ექნებოდა პროგრამას, შეზღუდულ საკონტაქტო საათებს უფრო ეფექტურად გამოიყენებდა დაწესებულება, მათ შორის შესაძლებელი იქნებოდა მასალის შემცირებაც. ყურადღება გამახვილდებოდა სხვადასხვა სიმულაციითა და ინტერაქტიული აქტივობით შესაბამისი უნარების განვითარებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, წარედგინათ მათ მიერ შემუშავებული მეორე რეკომენდაცია პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წინაშე წარადგინა დასკვნებში დაფიქსირებული მე-2 რეკომენდაცია პროგრამის შინაარსის სტანდარტის 1.8 კომპონენტთან მიმართებით:

- მნიშვნელოვანია, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტზე თანდართული კითხვარები გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის კომპონენტებსა და შინაარსთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ საკითხი შეეხებოდა მსმენელების გამოკითხვის კითხვარებს, რომელიც წარმოადგენდა აპრობირებულ ინსტრუმენტს, მსმენელების მხრიდან პროგრამის რესურსების შეფასებასთან დაკავშირებით. ეს კითხვარები არ წარმოადგენდა დაწესებულებისათვის სიახლეს და ასეთი უკუკავშირის ფორმებს იყენებდნენ სხვა პროგრამების განხორციელების დროსაც. ექსპერტებისთვის წარდგენილ იქნა ის ფორმები, რომლებიც გამოიყენებოდა დაწესებულების საჯარო მართვის პროგრამების შემთხვევაში. ექსპერტების მიერ ყურადღება გამახვილებული იყო კონკრეტულად ერთ კითხვასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სასწავლო პროცესის ხანგრძლივობის გაზრდის საკითხს. ეს კითხვა ექსპერტების მიერ მიჩნეულ იქნა არა ლოგიკურად და არა მიზანშეწონილად. ქეთევან ჯაყელის განცხადებით, მსგავსი კითხვები იყო გააზრებული და არ იყო შემთხვევით გაპარული, გამომდინარე იქიდან, რომ ტრენინგები ჩატარდება საპილოტე რეჟიმში, დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანი იყო იმ ინფორმაციის ანალიზი, რამდენად დაძლევადი იყო მსმენელებისთვის იმ მასალის აღქმა, რაც შეთავაზებული იქნებოდა ამ საკონტაქტო საათების ფარგლებში. მსმენელთა პირველივე ნაკადის მიღების შემდეგ, დაწესებულება გეგმავდა კითხვარების საფუძველზე ანალიტიკური დოკუმენტის მომზადებას და თუკი გამოიკვეთებოდა მნიშვნელოვანი მიგნებები, მოხდებოდა მათი წარდგენა საჯარო სამსახურის ბიუროსათვის და განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრისათვის. ეს მიგნებები შესაძლებელია გამხდარიყო საფუძველი თუნდაც სტანდარტებში გარკვეული ცვლილების განხორციელების.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თინათინ კუპრაშვილმა განმარტა, რომ ეს კითხვა მოყვანილი იყო ერთ-ერთ მაგალითად იმის დასადასტურებლად, რომ შესაძლებელი იყო ამ კითხვარების კიდევე უკეთ მორგება პროგრამის საჭიროებებზე. აქვე მან მოიშველია მაგალითი, საგნების შესაძლო ბუნდოვან ბმასთან დაკავშირებით და კითხვარების საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა იმის დადგენა, ხომ არ მოხდა საგნებს შორის გადაფარვა. ექსპერტის განცხადებით, კითხვარმა დაწესებულებას პირველ რიგში უნდა მიაწოდოს ხარისხობრივი ინფორმაცია, რომელიც შემდგომ საშუალებას მისცემს სწორედ მოახდინოს იდენტიფიცირება გასავითარებელი ღონისძიებების.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს კითხვები აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, წარედგინათ მათ მიერ შემუშავებული მესამე რეკომენდაცია პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წინაშე წარადგინა დასკვნებში დაფიქსირებული მე-3 რეკომენდაცია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსების სტანდარტის 2.4 კომპონენტთან მიმართებით:

- მნიშვნელოვანია, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტზე თანდართული მსმენელთა გამოკითხვის ფორმა ითვალისწინებდეს კითხვას/კითხვებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეფასების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან მიმართებით მნიშვნელოვანი იყო მსმენელების შეფასებაც, თუმცა პირველ რიგში ყურადღება მახვილდებოდა ამ მიმართულებით ტრენერების მიერ გაკეთებულ შეფასებაზე. შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ტრენერის გამოკითხვის ფორმები, სადაც იყო შესაბამისი კითხვები მოცემული. ასევე, მსმენელის გამოკითხვის ფორმაშიც იყო წარმოდგენილი კითხვა იმის შესახებ, მოეწონა თუ არა მას სასწავლო გარემო.

საბჭოს წევრი, თეიმურაზ ჩიხრაძე დაინტერესდა, პირველი რეკომენდაციისაგან განსხვავებით, რა სირთულეს და პრინციპულ საკითხს წარმოადგენდა დაწესებულებისათვის ამ რეკომენდაციის შინაარსის გაზიარება, კერძოდ, კითხვარების ფორმების დახვეწა და მეტი დეტალიზაცია.

დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენდა სირთულეს და საჭიროების შემთხვევაში მოახდენდნენ ამ კითხვარების ფორმების განვითარებას. მან ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ამ საკითხთან მიმართებით წინასწარ შემუშავებულიყო შესაბამისი სარეკომენდაციო ნიმუშები, რითაც იხელმძღვანელებდა დაწესებულება. ასევე, ამ ეტაპზეც თუ მოხდებოდა განმარტების მოცემა, თუ როგორი სახის უნდა იყოს ეს კითხვარები, რამდენ კითხვიანი და რა ასპექტში უნდა მოხდეს შეფასება, დაწესებულება იხელმძღვანელებდა ამ მითითებებით. ქეთევან ჯაყელის განცხადებით ექსპერტთა პირველი რეკომენდაციისაგან

განსხვავებით ეს რეკომენდაცია გავლენას არ ახდენდა პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობის საკითხზე.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ სტანდარტის ჩანაწერი უკუკავშირის შესახებ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან მიმართებით იყო საკმაოდ მკაფიო და დაწესებულებისათვის ნათელი უნდა იყოს მათი გათვალისწინების საკითხი პროგრამის შეფასების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, წარედგინათ პროგრამებთან მიმართებით მათ მიერ შემუშავებული რჩევები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წინაშე წარადგინა დასკვნებში დაფიქსირებული რჩევები და ყურადღება გაამახვილა შემდეგ რჩევაზე:

- სასურველია, პროგრამაში განისაზღვროს სამუშაო ან არასამუშაო დღის განმავლობაში სასწავლო დროის მინიმალური ხანგრძლივობა.

აღნიშნულ რჩევასთან მიმართებით მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამის შემთხვევაში, ყველაზე მაღალი საათობრივი დატვირთვა, რომ იქნეს აღებული გამოდიოდა 42 საათი. მან ასევე განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები პროგრამის შინაარსთან მიმართებით, ემსახურებოდა პროგრამისათვის მეტი სიცხადისა და მიზნიდევლობის მინიჭებას. ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ პროგრამის სტრუქტურის კომპონენტის „პროგრამის ხანგრძლივობის“ ნაწილში ვკითხულობთ, რომ „... პროგრამის ხანგრძლივობაა 40 საათი, დღეში 4 საათიანი ტრენინგი - 10 სამუშაო დღის განმავლობაში, ან დღეში მაქსიმუმ 6 საათიანი ტრენინგი - 7 სამუშაო დღის განმავლობაში.“ პროგრამის ხანგრძლივობის მაქსიმალური საათების ჯამი წარმოადგენდა 42 საათს ნაცვლად 40 საათისა. თუმცა, საგნების საათობრივი გადანაწილების მიხედვით, საათების ჯამური რაოდენობა შეადგენდა 40 საათს. პროგრამის სტრუქტურის კომპონენტის „საგნების საათობრივი გადანაწილების განხორციელების ცხრილში“ არსებულ საგნებზე გადანაწილებული საათები იყო შემდეგი: 10, 6 და 8 საათი. პროგრამის სტრუქტურაში არ ჩანდა, როგორც სამუშაო, ასევე არასამუშაო დღეების შემთხვევაში როგორ მოხდებოდა საგნის ჯამური საათების გადანაწილება. დაწესებულების ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, სამუშაო ან არასამუშაო დღის განმავლობაში საგნების მინიმალური საათობრივი დატვირთვა განისაზღვრებოდა დამკვეთის მოთხოვნების გაცნობის შემდეგ. თუმცა, არ იყო ჩამოყალიბებული ზოგადი ხედვა, თუ რა პრინციპების გათვალისწინებით მოხდებოდა საათობრივი დატვირთვის გაყოფა. პროგრამის სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ ერთი საგანი „საჯარო სამსახურის ეთიკა, კონფლიქტების მოგვარება, ორგანიზაციული კულტურა, ანტიკორუფციული პოლიტიკა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საშუალებები“ ითვალისწინებდა 90 წუთიან სესიას. დანარჩენ შემთხვევაში სილაბუსების სესიების ხანგრძლივობა წარმოადგენდა 120, 150, 240 და 360 წუთიან ხანგრძლივობას. სამუშაო დღის მინიმალურ დატვირთვასა და საგნის საათობრივი დატვირთვის გადანაწილებასთან დაკავშირებით, კითხვა დაისვა ინტერვიუზე მოწვეულ ექვს ტრენერთან, რომელთა შორისაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პოზიცია იყო არაერთგვაროვანი. ნაწილი მიიჩნევდა, რომ

6. ქა

შემდგომად გათვალისწინებული დატვირთვის გადანაწილებას, ნაწილს კი მიაჩნდა, რომ საგნის დიზაინიდან გამომდინარე ვერ მოხერხდებოდა სესიისათვის გამოყოფილი დროის გაყოფა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ემინაშვილმა განმარტა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა დადგენილებით განსაზღვრულ საკონტაქტო საათების ზღვრულ ოდენობას და შეადგენდა - 40 საათს. გამომდინარე იქიდან, რომ ყველა დამკვეთს ჰქონდა ინდივიდუალური მოთხოვნები საათობრივ დატვირთვისთან დაკავშირებით, დაწესებულებამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაეტოვებინა ლავირების საშუალება, რათა ცხრილის შედგენისას მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული დამკვეთის მოთხოვნები, რაც არ ეწინააღმდეგებოდა N242-ე დადგენილებას. ამასთან, აღნიშნული დღიური მაქსიმალური 6 საათი არ გულისხმობდა შვიდივე დღის მანძილზე არაუმეტეს 6 საათიან საკონტაქტო საათობრივ დატვირთვას. შეხვედრების ხანგრძლივობა რიგ შემთხვევებში იქნებოდა 4, 5 და მაქსიმუმ 6 საათი, სულ 40 საათი და გადანაწილდებოდა დამკვეთის მოთხოვნების გათვალისწინებით.

საბჭოს წევრი, ფიქრია თათარაშვილი დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებში დაფიქსირებული იმ რჩევის განმარტებით, რომელიც უკავშირდებოდა დაწესებულების ტრენერებთან გაფორმებულ წინასწარ შეთანხმებებში კონკრეტული ლოკაციების ასახვის საკითხს. მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო შეფასების ერთიანი მიდგომების დაცვა, აღნიშნული სახის გარემოება სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დასკვნებში მითითებული იყო როგორც რეკომენდაცია, ხოლო ამ შემთხვევაში რჩევის სახეს ატარებდა. აღნიშნულის შესაბამისად, დაწესებულებები განსხვავებულ მდგომარეობაში არ უნდა აღმოჩენილიყვნენ.

დაწესებულების დირექტორმა, ქეთევან ჯაყელმა განაცხადა, რომ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას ჰყავდა ორი კატეგორიის ტრენერები. მათ ჰყავდათ ტრენერები, რომელთაც შეეძლოთ მხოლოდ ერთ ლოკაციაზე ტრენინგების ჩატარება და ასევე, ჰყავდათ ისეთი კატეგორიის ტრენერებიც, რომლებსაც ნებისმიერ ლოკაციაზე შეეძლოთ ტრენინგების განხორციელება. შეთანხმებებში სადაც მითითებული იყო კონკრეტული ლოკაცია გულისხმობდა, რომ მხოლოდ იმ მისამართზე შეეძლო ტრენერს ტრენინგის ჩატარება. ამასთან, დაწესებულება გამოხატავდა მზაობას საჭიროების შემთხვევაში შეთანხმებებში განხორციელებინათ შესაბამისი ცვლილებები.

ექსპერტმა, თინათინ კუპრაშვილმა განმარტა, რომ ათივე ლოკაციაზე ორივე პროგრამის შემთხვევაში უდასტურდებოდა დაწესებულებას შესაბამისი საგნების განმახორციელებელი ტრენერების არსებობა. აღნიშნული რჩევა ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ საგნების ტრენერებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ზოგიერთ მათგანს არ ჰქონდა ინფორმაცია ტრენინგის ჩატარების ათივე ლოკაციის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები. თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, რათა მას განემარტა სხდომაზე დამსწრე პირებისთვის პროცედურული საკითხები საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. ამასთან, რადგანაც ეს საკითხები განსხვავდებოდა წინა განსახილველი საკითხებისგან იმ ფაქტორით, რომ

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებთან და რჩევებთან მიმართებით განსხვავებული პოზიცია ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენლებს, მიზანშეწონილი იყო, საბჭოს თათბირის ფორმატში განეგრძო საქმიანობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განმარტა, რომ აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო აკრედიტაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი უკუკავშირის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე. ამასთან, საბჭო ვალდებული იყო დაესაბუთებინა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ასევე, საბჭო უფლებამოსილი იყო დაწესებულებისათვის მიეცა რეკომენდაციები. რაც შეეხებოდა აკრედიტაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, თუ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამები სტანდარტებთან მიმართებით შეფასდებოდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ. ხოლო თუ ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდებოდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ მათგანთან მიმართებით არ შეფასდებოდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავდა ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახებოდა საბჭოს სხდომის ოქმში.

საბჭო სათათბირო შესვენებაზე გავიდა 18:23 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 18:38 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „პროფესიული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების

6. ქს

კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „პროფესიული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე პირებს განუმარტა საბჭოს წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საბჭოს წევრები გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უკუკავშირს და ზეპირ მოსმენაზე მხარეების მიერ წარმოდგენილ პოზიციებს. აღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე საბჭო არ იზიარებდა ორივე პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ პირველ და მეორე რეკომენდაციას პროგრამის შინაარსის სტანდარტის 1.4 და 1.8 კომპონენტებთან მიმართებით. თუმცა აქვე მიმართავდა დაწესებულების წარმომადგენლებს, რათა მათ მიერ მომხდარიყო სწავლის შედეგების რუკის გადახედვა იმგვარად, რომ ბუნდოვანი საკითხები აღმოეჩნევილიყო და აღქმადი ყოფილიყო სწავლის შედეგებისა და საგნების ურთიერთმიმართება, N242-ე დადგენილებასთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.

აღნიშნულის შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ორივე პროგრამასთან მიმართებით იცვლებოდა პროგრამის შინაარსის სტანდარტის შეფასება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, პროგრამები აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით ფასდებოდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

რაც შეეხებოდა მესამე რეკომენდაციას, საბჭოს წევრები იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას და მიიჩნევდნენ, რომ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსების სტანდარტის 2.4 კომპონენტი მკაფიოდ მიუთითებდა მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასების პროცესში უკუკავშირის არსებობაზე ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ეს გარემოებები დაწესებულების მსმენელთა შეფასების კითხვარებში უნდა ასახულიყო.

ასევე, საბჭოს მოსაზრებით მიზანშეწონილი იყო დაწესებულების მიერ მომხდარიყო ექსპერტთა რჩევის გათვალისწინება, რომელიც უკავშირდებოდა დაწესებულების ტრენერებთან გაფორმებულ წინასწარ შეთანხმებებში კონკრეტული ლოკაციების ასახვის საკითხს. ამასთან, როგორც ზეპირ მოსმენაზე გამოიკვეთა დაწესებულება გამოხატავდა მზაობას საჭიროების შემთხვევაში შეთანხმებებში განხორციელებინათ შესაბამისი ცვლილებები.

საბჭოს თავმჯდომარემ პროგრამების განხორციელების პროცესში წარმატება უსურვა სამივე დაწესებულების წარმომადგენლებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ მათ მიერ სამსჯელოდ გამოკვეთილი საკითხები მნიშვნელოვანი იყო საბჭოს საქმიანობის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 18:47 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე
ნანა ჭილაძე



სხდომის მდივანი
თეიმურაზ ჩიხრაძე

